# სახლი STYLE

#32
2009
June,
Jule

არქიტექტურა ინტერიერი დიზაინი

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN




OPPLE
One reliable lighting system
for every customer you meet
www.opple.com
Energy saving lamp
-Instant start and flicker free
-High color rendering
-Long life span of 8,000 hours
AGENT IN GEORGIA
ახალი ნათება


შ.პ.ს. ინსტა
insta
ელექტრო, ტელეკომუნიკაციო,
ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები,
პროექტირება, მონტაჟი
ოფისი: თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №8.
ტელ.: 20 20 20/21, ფაქსი: 20 20 22.
e-mail: sales@insta.ge
მაღაზია: თბილისი,
ვაჟა-ფშაველას №64
ტელ.: 20 20 23, 39 90 98
e-mail: shop@insta.ge
www.insta.ge

სარეკლამო კომპანია

# სტილი




www.style-magazine.com.ge

**გამომცემელი** - კომპანია **სტილი** და დიმიტრი მოსულიშვილი
**დირექტორი** - ეკა ჯავახიშვილი
**რედაქტორი** - ნინო ლაღიძე
**ინფორმაცია** - ნინო ლაღიძე, ლალი ბახტაძე
**თარჯიმანი** - ნატა კურტანიძე
**კომპიუტერული დიზაინი** - თამაზ ჩხაიძე
**დიზაინი** - გია ნოზაძე
**გაყიდვების მენეჯერი** - მირიან მარგალიტაშვილი

**PUBLISHER -** Company **STYLE** & Dimitri Mosulishvili
**DIRECTOR -** Eka Javakhishvili
**EDITOR -** Nino Laghidze
**INFORMATION -** Nino Laghidze, Lali Bakhtadze
**TRANSLATION -** Nata Kurtanidze
**COMPUTER GRAPHIC -** Tamaz Chkhaidze
**DESIGN** - Gia Nozadze
**SALE MANAGER** - Mirian Margalitashvili

კომპანია "სტილი"
0160 თბილისი, გამრეკელის ქ. N7, ბ.27
ტელ/ფაქსი: 38-33-24.
მობ: 877 44-86-00, 893 42-74-73

7 Gamrekeli Str., 0160 Tbilisi, Georgia.
Tel/fax: (+995 32) 38-33-24.
Mob: (+995 77) 44-86-00, (+995 93) 42-74-73

http://www.style-magazine.com.ge
E-mail: inbox@archistyle.ge

**სარეკლამო ტექსტის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს**

გთავაზობთ:

- გარე რეკლამის დამზადება და განთავსება;
- ვიდეო რეკლამის დამზადება და განთავსება;
- პროექტირება, მშენებლობა, დიზაინი.

## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

არქიტექტურულ-დიზაინერული ჟურნალი "სტილი" კვლავ აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62



Off.: +39 0422 83 94 42
Fax: +39 0422 83 94 32
Mob: +39 348 5904 152
Mail: giorgikhundaze@mizarlighting.com
www.mizarlighting.com
+995 93 519 209
MIZAR S.r.l.
Via Bosco,1
31050 Badoere di Morgano(TV)


არქიტექტურული პრემია 2009
„არქიტექტურული პრემია 2009" მოსაპოვებლად
გრძელდება საკონკურსო მასალის მიღება
ტელ.: 38-33-24 მობ.: 893 42-74-73
www.archi-competition.com.ge



HERBOVITAL2
THEFANTASTICWAYWELIVE
Devon&Devon
22 Metekhi str.
0103 Tbilisi Georgia
mob: +995 77427110
Tel.: +995 32 273300
Fax.: +995 32 747121
www.herbovital.eu
Jacuzzi
Sicis
Devon&Devon
Gessi

www.style-magazine.com.ge




მზადდება წიგნი:

« თანამედროვე ქართველი არქიტექტორები »

გამოცემაში მონაწილეობის მსურველებს

დაგვიკავშირდით:

e-mail: nino@style-magazine.com.ge

Tel./Fax. +995 32 383 324

Mob. +995 93 427 473

we are TDS

www.tds.ge

www.style-magazine.com.ge

# არქიტექტორთა კლუბი



Architectural club

e-mail: nino@style-magazine.com.ge

Tel./Fax. +995 32 383 324
Mob. +995 93 427 473



Roto

# საუკეთესო სამანსარდო ფანჯრები

Roto

მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კომპანია სამანსარდო ფანჯრების წარმოებაში

**Roto**-ს ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში გთავაზობთ:

- მანსარდის ფანჯრებს;
- ჩარჩოებს;
- მზის კოლექტორებს;
- აქსესუარებს.










## მეტი თავისუფლება, მეტი კომფორტი

"rotoCaucasus Ltd"

0102 თბილისი, საქართველო, წერეთლის ქ. №1, ტელ.: 029 991, -992, -993, ფაქსი: 029 994

roto-georgia@hotmail.com



www.style-magazine.com.ge
STYLE magazine
www.style-magazine.com.ge
893 427 473



# DS art

არქიტექტურული
ინტერიერის
დიზაინი







თბილისი,
[illegible] 7

38 33 24
899 102 996

# სარჩევი
# Content




ქალაქი
CITY

თბილისი - ძველი ქალაქის აურა
GEORGIA TIFLIS AURA
OLD CITY EMANATION 16



განახლებული
ალექსანდრეს ბაღი
Redesigned Alexander
Park 20



ოსტატობაში
პროფესიონალიზმის
ხარისხი იგულისხმება
Professionalism
implying the level
of skill 24



«Dutch Design Garden»
ახალი სეზონი
New Season of Dutch
Design Garden 28



დაღუპულ მეომართა
მემორიალი
Memorial to the
dead warriors 34



უცხოური არქიტექტურა
FOREIGN ARCHITECTURE

სინესტარი
Cinestar 38



ილირიკა
Ilirica 40



თანამედროვე
აზერბაიჯანული არქიტექტურა
Modern Azerbaijani
Architecture 42







სტილის
შესაბამისობა
„ცხოვრების" წესთან
Style in Conformance
with Lifestyle 46



საერთაშორისო გამოფენა
მილანში - Internazionale del Mobile
International Furniture
and Design Exhibition
in Milan -
Internazionale
del Mobile 50



ინტერიერი
INTERIOR

საზოგადოებრივი
ინტერიერი For Season
Public Interior
For Season 56



არქიტექტურული ფიგურის
კონცეფცია
The Conception
of Expressive
Architectural Image 58



Jnby - მოდერნისტული
დიზაინი
JNBY - Modernism Design 62



ოვალი
The Oval 66



ძველი მეტეხი
Old Metekhi 76



„ფართი კლუბი" - ბამბის რიგში
Party Club on the Bambis Rigi Street 70





ტაილანდური სახლი
TAIHOUSE 80



კრომბახერის დეკორატიული პანო
Decorative Panneau at Krombacher 84



ტყუპები ზღვასთან
Seaside Twins 88



კომფორტი სიმყუდროვეში
Comfort in Coziness 90





# სარჩევი
# Content



საცხოვრებელი სივრცის რეალიზაცია
**Living Space for a Particular Family** 92


უზადო დიზაინი
**Flawless Design** 98


სახლი - ადამიანთა სულიერი სამყაროს მატარებელი
**House as reflection of spiritual world** 100


კომფორტი და სიმყუდროვე სილამაზეში
**Comfort and Elegance** 102


თბილისური კოსმოპოლიტური საცხოვრებელი
**Cosmopolitan Apartment in Tbilisi** 106






სივრცეთა სახესხვაობა
**Diversity of Interior Spaces** 110

ფურნიტურა
**FURNITURE**


შავკრიალა კერამიკა მხატვრულ-დეკორატიული ჩანართებით
**Glossy Black Ceramics with Decorative Flavor** 114


სარკეში არეკლილი სამყარო
**World Reflected in a Mirror** 118


ფორმისა და ფერის ილუზიური თამაში
**Illusory Game of Form and Color** 120






## ისტორია
## HISTORY

კაბადოკია
Cappadocia
122



## ვერნისაჟი
## VERNISSAGE

ფერით მეტყველი მხატვარი
The painter speaking color
126



დუმილი თანხმობის ნიშანია - ლაბორატორია თავი IX
Silence Is Consent – Laboratory Chapter IX
130



პარიზი ვერნისაჟში
Paris in Vernissage
134



## ახალი ამბები
## NEWS

მოთხილამურე არქიტექტორთა 32-ე შეხვედრა-სემინარი SKIA-2009
32nd Assembly-Seminar of Architect Skiers SKIA-2009
136



იტალიური სტილი
Italian Style
138



საერთაშორისო კონკურსები
International Competitions
140









# თბილისი - ძველი ქალაქის აურა
# GEORGIA TIFLIS AURA OLD CITY EMANATION

არქიტექტორები: გიორგი ბერიძე, ლევან დოლიძე, ირაკლი ღარიბაშვილი, ლაშა ფირფილაშვილი
ARCHITECTS: GEORGE BERIDZE, LEVAN DOLIDZE, IRAKLI GARIBASHVILI, LASHA PIRPILASHVILI









- „ჩვენ ვაჩვენებთ არქიტექტურას მას მერე, რაც განვსაზღვრავთ, რომ არქიტექტურა არ ნიშნავს მხოლოდ შენობების აშენებას, არამედ ჩვენს ირგვლივ სივრცის, სოციალური გარემოს, სამყაროს შექმნას, რადგანაც არქიტექტურა სწორედ ხედვისა და რეალობის ზღვარზე მუშაობს“.

აარონ ბეტსკის 2008 წლის ვენეციის ბიენალეს მე-11 საერთაშორისო არქიტექტურული გამოფენის კურატორის ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად ექსპოზიციას.

ბიენალეს ქართულ სივრცეში წარმოდგენილი ქართველი არქიტექტორების პროექტი - „მირზა შაფის ქუჩის განაშენიანების კონცეფცია - ძველი ქალაქის აურა და ემანაცია “ - ასე პასუხობს გამოფენის თეზისს:

- „ვეძებთ კომფორტულ არქიტექტურულ იდენტიფიკაციას ძველსა და ახალში. გვინდა ვიგრძნოთ თავი „საკუთარ სახლში“ თანამედროვე სამყაროში. იმპულსს შემოქმედებისათვის გვაძლევს ძველი ქალაქის აურა და გამოსხივება“.

"We can only talk about architecture after we agree that architecture does not mean just construction but also implies creation of space, social environment, a universe around us, because architecture exists on the verge of vision and reality."

This conception, voiced by Aaron Betsky, director of the 11th Venice Biennale of 2008, served as a backbone for the exposition.

"Mirza Shafi Street Development - Old City Ambience and Emanation" - one of the project exhibited at Venice Biennale 2008 by the Georgian architects - answers the above conception as follows: "we look for a comfortable architectural identity in old and in new. We wish to feel "at home" in the modern world. The driving force behind our creative activities is the ambience, the emanation of old city".













# განახლებული ალექსანდრეს ბაღი



დედაქლაქს კიდევ ერთი კეთილმოწყობილი, შადრევნებითა და ლამპიონებით განათებული ბაღი შეემატა. ალექსანდრეს ბაღი 18-ე საუკუნიდან არსებობს. მისი სიძველის გამო, იგი წლების მანძილზე მიუხედავი იყო და სასწრაფო რეაბილიტაცია-განახლებას საჭიროებდა. სამუშაოები გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო და 7 თვეში დასრულდა. 3 ჰექტარი ფართობის სკვერი გამწვანდა და კეთილმოეწყო. დამონტაჟდა ლამპიონები და დასასვენებელი სკამები. ბაღს სიახლეც შეემატა, უნარ-შეზღუდული მოქალაქეებისათვის სპეციალური ბილიკი მოეწყო. “9 აპრილის” ბაღში სარეაბილიტაციო სამუშაოები საბოლოოდ 2009 წლის მაისის თვეში დასრულდება, რაც ყველაზე მთავარია - ამჟამად კიდევ ორი სკვერის რეაბილიტაცია მიმდინარეობს –თბილისელები მალე “დედა ენისა” და “9 მარტის” განახლებულ ბაღებშიც შეძლებენ კომფორტულად დასვენებას.

9 აპრილის, დედა ენისა და 9 მარტის ბაღების ლანდშაფტისა და საზოგადოებრივი სივრცის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად ძველი თბილისის გამგეობამ ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში არქიტექტორმა დავით ხურცულავამ გაიმარჯვა. ბაღების რეკონსტრუქციის პროექტები მართლაც გამორჩეულია.

შესაძლებლობა მოგვეცა გავსაუბრებოდით პროექტის ავტორს, არქიტექტორ დავით ხურცილავას.

- ბატონო დავით, ლანდშაფტური არქიტექტურა, დიზაინი, მნიშვნელოვან ყურადღებას და ადგილს იპყრობს ჩვენს არქიტექტურულ რეალობაში. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში ეზოიანი საცხოვრებელი სახლი, მსხვილი საცხოვრებელი კომპლექსი თუ ქალაქის საზოგადოებრივი სივრცეები, არ განიხილება და მტკიცდება ლანდშაფტის დიზაინის გადაწყვეტის გარეშე. საქართველოს ლანდშაფტურ არქიტექტურას დიდი ტრადიცია გააჩნია. რას გვეტყოდით ამ თვალსაზრისით თბილისში, ისტორიულად არსებული სიტუაციის შესახებ.

- თბილისსა და მის გარეუბნებში შუა საუკუნეებიდან მოყოლებული არსებობდა ბაღები.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ 1735 წლის თბილისის გეგმაზე აღნიშნულია 11 ბაღი, გაშენებული უშუალოდ ქალაქის ფარგლებში და მის სიახლოვეს. მათი უმეტესობა სამეფო გვარის წარმომადგენლებსა და დიდგვაროვნებს ეკუთვნოდათ.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად ქალაქთან ერთად თითქმის მთლიანად განადგურდა ბაღებიც, დაინგრა და მოიშალა ბაღებში არსებული ნაგებობები, შადრევნები და სარწყავი ქსელი.

შემდგომში, როგორც თბილისის XIX საუკუნის პირველი ათეული წლების გეგმები მოწმობს, ქალაქის მწვანე სამოსი კვლავ აღდგა. XIX საუკუნის დასაწყისში ისევ არსებობს სოლოლაკის, სეიდაბადისა და ახლანდელი ბოტანიკური ბაღის მასივები. ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით გადაშლილი იყო ცნობილი ორთაჭალისა და კრწანისის ბაღები.

- რა პრინციპი გამოიყენებოდა ბაღების განაშენიანებისას?

- თბილისის ბაღების გაშენებისას უმეტესად გამოიყენებოდა ტერიტორიის დაგეგმარებისა და მცენარეების გადაადგილების თავისუფალი, ანუ პეიზაჟური პრინციპი. რაც დიდწილად თბილისის რთული რელიეფით იყო განპირობებული.

XIX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მხატვრულ მებაღეობაში თანდათანობით მკვიდრდება ევროპული ბაღთმშენებლობის პრინციპები. ამ პერიოდიდან იწყება საზოგადოებრივი დანიშნულების ბაღების მოწყობა.

- როდის მოეწყო თბილისში პირველი ევროპული ტიპის საზოგადოებრივი ბაღი?

- პირველი ევროპული ტიპის საზოგადოებრივი ბაღი XIX საუკუნის 20-იან წლებში სოლოლაკის ძველი მასივის ერთი ნაწილის ბაზაზე გაშენდა. □მას სა-







სახლის ბაღი ეწოდებოდა და მეფისნაცვლის სასახლის უკან მდებარეობდა.

- თქვენ ალექსანდრეს ბაღის რეკონსტრუქციის პროექტის შემუშავებამდე დაწვრილებით შეისწავლეთ მისი გაშენების ისტორია. გთხოვთ, მოკლედ მოგვითხროთ ამის შესახებ.

- ალექსანდრეს ბაღი გაშენდა ახალი თბილისის ცენტრში, რომელიც ადრე გარეთუბანს წარმოადგენდა. გარეთუბანი შუა საუკუნეების ქალაქის ბირთვის - კალას - ჩრდილო-დასავლეთით განვითარდა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოიცავდა ახლანდელ სოლოლაკს, რუსთაველის პროსპექტსა და მის მიმდებარე კვარტლებს მტკვრამდე და მთაწმინდამდე.

ალექსანდრეს ბაღი 1859 წელს გერმანელმა არქიტექტორმა ოტო იაკობ სიმონსონმა დააპროექტა. მისი დაპროექტებული იყო ალექსანდრეს ბაღში მდებარე შადრევნები, ტერასები და სხვა ნაგებობები. ბაღის გაშენებას ხელმძღვანელობდა გერმანელი ბოტანიკოსი და ლანდშაფტის არქიტექტორი ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერი. იგი 1859 წელს თბილისის ბაღების ინსპექტორი გახდა, ხელმძღვანელობდა მეფისნაცვლის სასახლის ბაღის რესტავრაციასაც, მონაწილეობას იღებდა ბორჯომისა და თეთრიწყაროს ბაღების გაშენებაში. 1861-1889 წლებში შარერი თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი გახლდათ.

ბაღის მოწყობა, ევროპული სტანდარტის მიხედვით, 4 წელი მიმდინარეობდა. იგი გაშენდა ინგლისურ პეიზაჟურ სტილში. 1863 წელს ბაღი საზეიმოდ გაიხსნა და მას ალექსანდრეს ბაღი უწოდეს, იმპერატორ ალექსანდრე II-ის პატივსაცემად.

- ბაღის ტერიტორიაზე, დროის ცალკეულ მონაკვეთებში სხვადასხვა დანიშნულების უნიკალური თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი შენობები აიგო. მათი არსებობა მნიშვნელოვან ფაქტორს შექმნიდა პროექტზე მუშაობისას.

- ბაღის ტერიტორიაზე გაიხსნა კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოება და პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკა (დღევანდელი ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი).

1885 წელს ბაღის დასავლეთ ნაწილში დაიწყო “დიდების ტაძრის” მშენებლობა (არქ. ალბერტ ზალცმანი). მშენებლობა 1893 წლამდე გრძელდებოდა. ამჟამად შენობაში საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაა მოთავსებული.

ბაღის ქვედა ნაწილში, ნიკოლოზის ხიდზე გასასვლელთან იდგა ალექსანდრე ნეველის სახელობის სამლოცველო, ქვედა ტერასაზე კი - წმ. ნიკოლოზის სომხურ-გრიგორიანული ეკლესია. სამწუხაროდ, ორივე ნაგებობა საბჭოთა პერიოდში დაანგრიეს.

1910 წელს დასრულდა წმ. ნიკოლოზის ქვაშვეთის ეკლესიის მშენებლობა. ამ ადგილას პირველი ეკლესია VI საუკუნეში აიგო. იგი რამდენჯერმე გადაკეთდა. საბოლოოდ კი - 1904-1910 წწ-ში არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდის პროექტით აშენდა ამჟამად მდგომი ეკლესია.

ალექსანდრეს ბაღში დროებითი ნაგებობებიც იყო განთავსებული. ბაღში სხვადასხვა დროს არაერთი ძეგლი დაიდგა.

- ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდში ალექსანდრეს ბაღმა სახე იცვალა. ძირითადათ, რა იყო ამის მიზეზი?

- XX საუკუნის შუა ხანებში ტრამვაის ხაზის გაყვანის გამო ბაღი ორ თითქმის თანაბარ ნაწილად გაიყო. ქუჩის გაყვანის გამო, მას, საკმაოდ დიდი ფართობი ჩამოეჭრა და ბაღის ერთიანობა ძლიერ დაირღვა.

1958 წელს ბაღს რუსთაველის პროსპექტის მხრიდან მიემატა ყოფილი ჰიგიენის სახლის ტერიტორია, სადაც დაირგო სხვადასხვა ჯიშის იშვიათი ხე-მცენარეები. ამავე პერიოდში ბაღის ქვედა ნაწილში გაკეთდა აუზი, (ავტორი ზ.წერეთელი).

- რა მდგომარეობაში იყო ალექსანდრეს ბაღი რეაბილიტაციამდე?

- დღეს, მისი ფართობი ბევრად მცირეა და მოიცავს 4,3 ჰექტარს. ტერიტორია შემცირდა ქუჩის გაყვანა-გაფართოებასთან დაკავშირებით. შემცირდა არა მარტო ბაღის ტერიტორია, არამედ დაირღვა ლანდშაფტის გეგმარებითი სტრუქტურა და მნიშვნელოვნად გაღარიბდა იშვიათ მცენარეთა კოლექციაც. გარდა იმისა, რომ ბაღის მწვანე საფარი მუდმივი მოვლა-პატრონობის გარეშე იყო დატოვებული, მის ტერიტორიაზე წარმოებდა უკანონო მშენებლობა.

- როდის დასრულდება აღნიშნულ ბაღებში სარეაბილიტაციო სამუშაოები?

- 9 აპრილის ბაღში აღდგენითი სამუშაოები,შეიძლება ითქვას დასრულებულია, ხოლო დედა ენის და 9 მარტის ბაღების რეაბილიტაცია, სავარაუდოთ აგვისტოს თვემდე გასტანს. სამივე ბაღის ფართობი დაახლოებით 5 ჰექტარს შეადგენს. ,,დედა ენის,, ბაღში მოეწყობა საბავშვო სპორტული მოედნები, ამით იგი ბავშვებისათვის საყვერლი გასართობი ადგილი გახდება, ასევე, ბაღში დამონტაჟდება ხელოვნური საცოცი კლდე, წიგნებით მოვაჭრეთათვის მოეწყობა სპეციალური დახლები. ხოლო „9 მარტის“ ბაღში მხატვრებს თავიანთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის საშუალება ექნებათ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲚᲘᲫᲔ



# Redesigned Alexander Park



Still another beautifully decorated park with fountains and lanterns opened in Tbilisi. Alexander Park exists since the 18th century. This old park remained untended for so many years that it required urgent rehabilitation and renovation. Rehabilitation project started last spring and was finished in 7 months. The 3 ha area was decorated with new plants; lanterns and benches were installed; special paths were set up for disabled people. Rehabilitation works in April 9 Park will be finalized in May 2009. What is most important, two more public gardens are being renovated in Tbilisi at the time being: population of Tbilisi will soon be able to spend their time in redesigned Dedaena and March 9 Gardens.

Gamgeoba of Tbilisi had announced a tender on landscape design and public space reconstruction of April 9, Dedaena and March 9 Parks. The tender was won by truly original reconstruction projects, created by architect David Khurtsilava.

STYLE Magazine has had an opportunity to interview architect David Khurtsilava on his projects.

**Landscape architecture and design attract increasing attention in our architectural reality. Consequently, most of residential houses, large apartment blocks and public spaces are designed and approved for construction only if they are accompanied with a relevant landscape design solution. Our country has rich experience in landscape architecture. How would you comment the historical tradition of landscape architecture in Tbilisi?**

Tbilisi and its suburbs had been decorated with gardens since the middle ages. City plan drafted by Vakhushti Batonishvili in 1735 marks 11 gardens within the city and in its outskirts. Their majority belonged to aristocrats and members of the royal family.

Most of the city and its gardens together with their constructions, fountains and irrigation networks were destroyed during invasion of Agha Mohammed Khan in 1795.

Later on, as we can see from city plans created in the first decades of the 19th century, the green part of the city was restored. Some gardens were restored in early 19th century in Sololaki, Seidabad and present-day Botanical Garden areas. At a certain











distance from Tbilisi popular Ortachala and Krtsanisi Gardens were created.

**On what principles was creation of public gardens based?**

Due to the complex relief Tbilisi, design of gardens in the city was mostly based on free, landscape principles of planning and plant distribution.

European traditions of landscape design were gradually introduced in the 1820-1830'ies. It is in this period that planting of public gardens started.

**When was the first European-style public garden created in Tbilisi?**

The first of such public gardens was created in the 1820'ies in Sololaki area. It was called "palace garden" and was located behind the Viceroy's residence.

**Prior to developing the Alexander Park reconstruction project, you carefully studied the history of this public garden. Can you please tell us about this in a couple of words?**

Alexander Park was established in the center of new Tbilisi, which was a suburb back then. This suburb area developed on the north-western outskirts of downtown Kala district in the middle ages; in the first half of the 19th century it covered present-day Sololaki, Rustaveli Avenue and its adjoining territory spread out between Mtkvari and Mtatsminda.

Alexander Park was designed in 1859 by German architect Otto Jacob Simonson. His project included fountains, terraces and other constructions. The planting process was supervised by German botanist and landscape architect Heinrich Carl Verner Scharer, who was appointed inspector of Tbilisi gardens in 1859; he also supervised restoration of Viceroy's residence garden and took part in development of Borjomi and Tetri Tskaro Parks. In 1861-1889 Scharer was a director of Tbilisi Botanical Garden.

Decoration of Alexander Park area took 4 years. In 1863 this English-style park was launched and named Alexander Park in honor of Emperor Alexander II.

**At different times constructions of different architectural value were built in Alexander Park. Did their existence influence your project?**

Alexander Park area contained the headquarters of Caucasian Agricultural Society and Pushkin Library (present-day Department of Monument Protection).

In 1885, construction of "the Temple of Glory" started in the western part of the Park (architect Albert Zaltsman). The construction went on until 1893; nowadays this building houses the Georgian State Gallery.

In the lower part of the Park – near the exit to Nikoladze Bridge, there was Alexander Nevsky Chapel, and the lower terrace housed the Armenian Gregorian St. Nicholas Church. Unfortunately, both these constructions were destroyed in the Soviet period.

In 1910 construction of St. Nicholas Kashveti Church was finalized. The initial church was built in this place in the 6th century and reconstructed several times later on; finally, the present-day Kashveti Church was built here in 1904-1910 according to Leopold Bielfeld's project.

There also was a number of temporary constructions in Alexander Park; at different times, several monuments were installed there.

**Alexander Park changed significantly in the Soviet period. What were the main reasons of this transformation?**

In the middle of the 20th century the garden was divided into two almost equal parts by a tram route. Construction of a new street considerably diminished the territory of the park and damaged its integrity.

In 1958 the park was increased at the expense of former Hygiene House and plants and trees of rare varieties were planted there. In the same period, a decorative pool designed by Z. Tsereteli was arranged in the lower part of the park.

**What was the condition of Alexander Park before rehabilitation?**

Nowadays the area of the park amounts to 4.3 ha – much less than it was initially. Not only the area of the garden was decreased, but its landscape planning structure got disrupted and collection of rare plants decreased significantly. Besides the fact that the green surface of the garden was left untreated for a long time, some illegal constructions were installed there.

**When will the rehabilitation works finish in the gardens we have listed above?**

Rehabilitation of April 9 Park is virtually finalized; as regards Dedaena and March 9 Gardens, their rehabilitation will probably last through until August 2009. The total area of these three gardens amounts to 5 ha. Youth sports grounds, an artificial alpinist wall and bookseller stalls will be set up in Dedaena Garden to make it a favorite resting place for children and teenagers. As regards the March 9 Garden, it will offer artists an opportunity to arrange sales and exhibitions.

INTERVIEW BY NINO LAGHIDZE







# ოსტატობაში პროფესიონალიზმის ხარისხი იგულისხმება

არქიტექტორების მამუკა ჩხაიძისა და არჩილ რაზმაძის პროფესიონალიზმზე, მათი იდეებით განხორციელებული საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი მეტყველებს, რომელთა მოცულობითი კომპოზიციები არქიტექტურული გამომხატველობის ძიებაა, მთლიანისა და შემადგენლის ჰარმონიული ერთიანობაა. ნაგებობათა მოცულობით- გეგმარებითი გადაწყვეტა სხვადასხვა სამშენებლო მასალის მიზანშეწონილი გამოყენება, ფაქტურისა და ფერის ეფექტები, შენობის ლანდშაფტთან მისადაგება - არქიტექტურის წარმატებულად გადაწყვეტის გარანტია. ავტორები, შენობის არქიტექტურულ სახეს თანამედროვე ნაგებობის კომპოზიციასა და პლასტიკაზე აგებენ, შედეგად ნაგებობა, თავისი არაორდინალური ფორმებით ბუნებრივ გარემოსთან სინქრონს ქმნის. ფასადებზე დახრილი, მრუდი, დიაგონალური ზედაპირები მოძრაობენ და შენობასა და შემოგარეს ინტეგრირებენ.

ავტორებისთვის ორი ძნელად შეთავსებადი თავისებურებაა დამახასიათებელი - ტაქტი გარემოს არქიტექტონიკის მიმართ და გამომხატველობის სიძლიერე. საცხოვრებლის თუ სასტუმროს პროექტის განხორციელებისას, არქიტექტორი დრამატურგია, რომელიც მნახველის წინაშე ჰარმონიულობისა და კონტრასტების ჯაჭვს წარმოადგენს. ნოვატორული გადაწყვეტების ფონზე, შემინული სიბრტყეებიდან, ფასადის რელიეფურობით დამთავრებული, თანამედროვე ქალაქური არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშნები გამოიკვეთება. მას სივრცის სტრუქტურის ორგანიზაციის ლოკალურობა, კონსტრუქციული სქემების, მასალისა და მხატვრული ფორმის ტექნიკური მთლიანობა, მხატვრული გადაწყვეტის რაციონალურობა აძლიერებს. გა-



სასტუმრო ბორჯომში
A HOTEL IN BORJOMI



საცხოვრებელი კომპლექსი „მზიურში“, თბილისი
RESIDENTIAL COMPLEX IN MZIURI, TBILISI

მომხატველობითი საშუალებების ერთიანობა, ძირითადი იდეის დეტალების ვარირებითაა მიღწეული. სხვადასხვა მასალის ფაქტურათა შერწყმა, დიზაინის ელემენტები ერთ სტილშია გადაწყვეტილი. შენობა გარემოში უცხო სხეულივით არ აღიქმება და თვითმყოფადობას ინარჩუნებს. თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობა და განსაკუთრებული ემოციური განწყობა აქვს.

ნინო ლალიძე





საცხოვრებელი სახლი ამაღლების ქუჩაზე ( ყოფ. დავითაშვილის ქ.), თბილისი.
RESIDENTIAL HOUSE IN AMAGLEBA (FORMER DAVITASHVILI) STREET, TBILISI

# Professionalism implying the level of skill

Professionalism of architects Mamuka Chkhaidze and Archil Razmadze is efficiently revealed by the public or residential constructions they have designed, by architectural expressivity of their volumetric compositions, harmonious integrity of the whole and its constituent parts. Spatial-planning solution of the compositions, purposeful utilization of various construction materials, texture and color effects, matching of the building with its surroundings – this is a guarantee to successful architectural solution. The architects found architectural image of their constructions on modern architectural composition and flexibility. As a result, the buildings with their unusual forms seamlessly merge with their natural setting. Motion of oblique, curved and diagonal surfaces on the facades integrates the buildings with their surroundings.

The authors have combined two seemingly controversial qualities – careful approach toward the architectural setting and strength of expression. While designing a project of a residential house or a hotel the architect feels like a stage director having to pres-









მრავალფუნქციური
კომპლექსი მზიურში
MULTIFUNCTIONAL
COMPLEX IN MZIURI



ent to spectators a chain of harmony and contrast. A range of innovative solutions, starting with lavish expanse of glazed surfaces and prominently shaped facades provides the designs with all the characteristic features of modern urban architecture, further highlighted by localized character of special structure, technical integrity of construction schemes, materials and artistic forms, rationality of creative solution. The unity of expressive forms is achieved due to the variety of details serving to achieve the main goal. Every building is integrated with its surroundings, while retaining every bit of its individuality. Each of them has independent artistic significance and special emotional coloring.

NINO LAGHIDZE






# «Dutch Design Garden» ახალი სეზონი

პირველ მაისს, თბილისში შედგა ჰოლანდიური კომპანიის «Dutch Design Garden» ახალი სეზონის გახსნა. საქართველოში. ჰოლანდიური კომპანია «Dutch Design Garden» 2007 წელს დაფუძნდა. კომპანიის დამფუძნებელია ცნობილი ჰოლანდიელი დიზაინერი მარტინ ველტკამპი. ბატონი ველტკამპი უკვე 25 წელიწადია მოღვაწეობს და თავის პროფესიულ გუნდთან ერთად, მთელს მსოფლიოში ქმნის ლანდშაფტურ დიზაინს.

კომპანიას საქართველოში შესრულებული აქვს საზოგადოებრივი თუ კერძო ბაღების გაშენების რამდენიმე პრესტიჟული პროექტი, მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა დადიანების სასახლის ბაღი, ზუგდიდში.

კომპანიის ყველაზე დიდი პროექტი სულ ახლახან მერიამ დაამტკიცა. პროექტი ითავალისწინებს ძველ თბილისში რიყის ტერიტორიაზე გასართობი ცენტრის მოწყობას. მისი დიზაინი სწორედ მარტინ ველტკამპს ეკუთვნის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანიამ, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა და სამომავლოდაც გეგმავს განაგრძოს თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით.

კომპანია სთავაზობს მომხმარებელს 4000 სხვადასხვა ჯიშის და დასახელების ხე-მცენარეს და საუკეთესო ექსკლუზიურ საბაღე წყალმედეგ ავეჯს, რომელიც დიზაინერ მარტინ ველტკამპის უშუალო ხელმძღვანელობით იქმნება.

კომპანიის შოუ რუმში წარმოდგენილია უამრავი ნივთი, რომელიც ბაღებსა და ვერანდებს ამრავალფეროვნებს - დაწყებული ბატუთით, დამთავრებული სურნელოვანი სანთლებით, იშვიათი ჯიშის მცენარეებით და ქოლგებით. აქ წარმოდგენილი ნაკეთობათა მრავალფეროვნება, სრულად დააკმაყოფილებს ნებისმიერ მომხმარებელს. პროდუქციის იმპორტს კომპანია ანხორციელებს ესპანეთიდან, ბელგიიდან, ა.შ.შ.-დან და მრავალი სხვა ქვეყნიდან. სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი, რაც მაღალ ხარისხს განსაზღვრავს.

















დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი თავის ბაღში სიმყუდროვეს ეძებს.
მარტინ ველტკამპი

I AM SURE THAT PEOPLE LOOK FOR COMFORT IN THEIR GARDENS
MARTIN VELTKAMP




მკაფიოობა დიზაინში ადვილად ამოსაცნობია და უნებურად იძლევა სიამოვნების განცდას, მაშინ, როდესაც ახირება, თუ ჟინი მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობას გვაძლევს.
მარტინ ველტკამპი

CLARITY IN DESIGN IS EASY TO IDENTIFY; IT INVOLUNTARILY CAUSES PLEASURE, WHILE CAPRICE AND PASSION ONLY RESULT IN CONTROVERSY.
MARTIN VELTKAMP

«Dutch Design Garden»-ში წარმოდგენილია მსოფლიოში საუკეთესო ხარისხის ინგლისური საღებავები Farrow And Ball. ეს საღებავები გამოირჩევა მკვეთრი ფერებით, პასუხობს ევროპულ სტანდარტებს. მათი საშუალებით ნებისმიერი მასალის ზედაპირი იღებება. ფერთა პალიტრა მრავალფეროვანია. საღებავით შეღებილი ზედაპირი ლამაზი და ეფექტურია.

«Dutch Design Garden»-ს პრეზენტაცია, კომპანიის ოფისში და მისი ბაღის ტერიტორიაზე შედგა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ქალაქის მერი, მერიის წარმომადგენლები, ქართველი ბიზნესმენები და სავაჭრო პალატის წარმომადგენლები.

შესვლისთანავე, ბატონ მარტინ ველტკამპის მიერ, უჩვეულო დიზაინითა და ულამაზესი მცენარეებით, შექმნილ ზღაპარში მოვხვდით. შემოქმედი კაცის ხედვამ და ძალისხმევამ ფორმალური სილამაზე ნიჭისა და მაღალი ინტელექტის თავისებურ თავისუფალებაში გამოავლინა. ერთიან კომპოზიციებში, საგნების, ცალკეული დეტალების თუ ნიუანსების ალიანსი უძრავი ენერგიით დამუხტული სკულპტურაა. და ეს სკულპტური სივრცე თავისი კანონებით ტრანსფორმირდება. აღქმითი წერტილების მრავალფეროვნება საგანთა სხვადასხვა მასშტაბს, დაუმთავრებელ მოძრაობას უთმობს ადგილს.

უცნაურია, უსასრულოდ უცნაურია ავტორის მიერ შექმნილი სივრცეები, ბაღის „ინტერიერი“, მცირე არქიტექტურული ფორმები, ფიგურების დინამიკა, ბუნებრივი ფერები... გასაოცარია მათი მრავალფეროვნება მოულოდნელია ფორმათა წარმოჩენა. მოულოდნელია, თუმცა ახლობელი, თავად ფორმები...

ძალზე მცირე დროით მიწევს ავტორთან გასაუბრება...

შემოქმედის დადებითი ენერგია, გამჭრიახი, თუ გამჭოლი მზერა რაღაცას გკარნახობს, ნახევრად მალავს და ნახევრად აშიშვლებს სინამდვილეს, ისევე, როგორც იქ შექმნილი სილამაზე. დაუფარავი აღტაცება ჩნდება ჩემში შექმნილის მიმართ. მეტად თავშესაქცევი უცნაურობანი იმალება მასში.

ბუნებაში მშვენიერის მეტაფიზიკა მხოლოდ ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება, იგი მრავალმხრივ რთული და უსაზღვროა. არ არის მარტივი ყოველივე გარდაქმნა მოაზრებულ მატერიად, მოძებნო იდეალური ფორმა, რომელიც შინაგან სულიერებას პასუხობს, მაგრამ შემოქმედი საკუთარ მესთან შეჭიდებით ყოველივეს გადალახავს და ქმნის.

ნინო ლაღიძე
ფოტო: PHOTOLIFE ჯგუფი




ბაღში ყველაფერი სწორად უნდა იყოს შესრულებული, ყოველივე უნდა იყოს სრულყოფილი - დაწყებული რითმით, სისადავით და კონტრასტით, დასრულებული დეტალებით, როგორიცაა მაგალითად განათება. იგი სასიამოვნო გარემოს ქმნის ლამაზი საღამოების გასატარებლად.
მარტინ ველტკამპი

IN A GARDEN EVERYTHING SHOULD BE PERFORMED WITH PIN-POINT PRECISION, EVERYTHING SHOULD BE PERFECT – STARTING WITH RHYTHM, SIMPLICITY AND CONTRAST AND ENDING WITH TECHNICAL DETAILS LIKE LIGHTING. A GARDEN IS A PLEASING ENVIRONMENT IN WHICH YOU CAN PASS BEAUTIFUL EVENINGS.
MARTIN VELTKAMP







კომფორტი და სიამოვნება კარგად დაბალანსებულ სივრცეში: ბაღი გთავაზობს მყუდროებას, სიმშვიდეს; მადლობა სისადავეს.
მარტინ ველტკამპი

COMFORT AND PLEASURE IN A WELL-BALANCED ENVIRONMENT: A GARDEN OFFERING PEACE AND SERENITY. LET US BE GRATEFUL THAT SIMPLICITY EXISTS...
MARTIN VELTKAMP




# New Season of Dutch Design Garden

On May 1 Dutch company "Dutch Design Garden" arranged launch-of-a-season presentation in Tbilisi. Dutch Design Garden established itself in Georgia in 2007. Founder of this business is prominent Dutch designer Martin Veltkamp. Mr. Veltkamp has been engaged in professional activities for 25 years already; together with his creative team he designs gardens all over the world.

Dutch Design Garden has already realized several important public and private garden design projects in Georgia; the most notable of them is Dadiani Palace garden in Zugdidi.

The largest of the company's Georgia-based projects was recently approved by Tbilisi City Hall. The project implies construction of an entertainment complex in Rike area of old Tbilisi. Design of the project belongs to Martin Veltkamp.

It is noteworthy that in spite of current economic crisis Dutch Design Garden has made important investments in Georgia and plans to continue its activities in this direction in the future.

Dutch Design Garden offers its clients 4000 varieties of decorative trees and plants and exclusive water-resistant garden furniture.








The company's showroom features innumerable objects intended for decoration of gardens and verandas, starting with trampolines and ending with scented candles, parasols and rare plants. Wide choice of products can fully satisfy the taste of any consumer. The company imports goods from Spain, Belgium, USA and many other countries – this is one of the main reasons accounting for the high quality it offers to its clients.

Dutch Design Garden also distributes top-quality English Farrow And Ball paints. These paints, distinguished with their bright and lasting colors, can be efficiently applied to any kind of surface.

Presentation of Dutch Design Garden was arranged in the company's office and garden. The ceremony was attended by Mayor of Tbilisi and City Hall officials, Georgian businessmen and representatives of the Chamber of Commerce. At the very first step inside the presentation area we found ourselves in a fantastic world of original design and uniquely beautiful plants, created by Martin Veltkamp. Designer's creative vision and effort interpreted formal beauty with singular freedom of talent and refined intellect. Within the integral composition combinations of particular details and nuances stand out like sculptures charged with static energy, and this sculptural space imposes its own rules upon the universe. The diversity of vantage points brings to the fore varying scales and incessant motion of the objects.

The spaces designed by Martin Veltcamp are strange, infinitely strange. Garden "interior", minor architectural forms, dynamics of still figures, natural colors… Surprising is their diversity, unexpected is expression of their form…

For a brief instant, we find ourselves face to face with our host…

His shrewd glance, shining with creative energy, hints at something, half-hides and half-reveals the reality, just like the beautiful art he has creates – the art so unusual and exquisite that you cannot restrain your admiration.

In nature the metaphysical plane of beauty is not limited to purely aesthetic perception – on the contrary, it is complex and boundless, making it extremely difficult to transform everything into meaningful matter, to find ideal form reflecting inner spirituality. But a true artist is capable of winning this hard battle.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: PHOTOLIFE GROUP










# დაღუპულ მეომართა მემორიალი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2009 წლის 21 და 22 იანვარს გაზეთში „24 საათი“ გამოაცხადა კონკურსი „საქართველოში 2008 წლის აგვისტოში რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ მეომართა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოს მოწყობის კონცეფციისა და საფლავის ტიპური ფორმის პროექტის შექმნაზე“. კონკურსის პირობები გამოქვეყნდა ორივე სამინისტროს ვებგვერდზეც, ასევე გავიდა სიუჟეტები ტელეეთერით.

სამინისტროდან საკონკურსო მასალა გაიტანა 38-მა, მათგან კონკურსზე მასალები წარმოადგინა 24-მა კონკურსანტმა.

კონკურსის შედეგების გამოსავლენად საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2009 წლის 23 თებერვლის №3/9 ბრძანებით დამტკიცდა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

მარინე ჭოლოშვილი - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის

მინისტრის მოადგილე, ჟიურის თავმჯდომარე;
ნიკოლოზ აბაშიძე – არქიტექტორი;

დავით აბულაძე – არქიტექტორი, საქართველ-





ის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე; ნოდარ ამაშუკელი – არქიტექტორი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი; ნიკოლოზ დადიანი - საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრთან არსებული საბჭოს წევრი; ნუგზარ დავლიანიძე – ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი; კობა ლიკლიკაძე - რადიო „თავისუფლების“ სამხედრო მიმომხილველი, არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიისა და განვითარების ფონდის“ წევრი; ირაკლი ჟვანია - მოქანდაკე; მამუკა ხერხეულიძე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

გიორგი ხოშტარია – ექსპერტი, ხელოვნებათმცოდნე

2009 წლის 24 თებერვალს საკონკურსო მასალები გამოიფინა ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში „ქარვასლა“.

კომისიამ გამარჯვებული პროექტის გამოსავლენად გამართა 2 სხდომა.

კონკურსი დახურული იყო. ჟიურის მუშაობის შედეგად, 2009 წლის 25 თებერვალს „ქარვასლაში“ გამოვლინდა ერთი გამარჯვებული პროექტი, რომლის ავტორები არიან არქიტექტორები, ლადო ხმალაძე და გიორგი ხმალაძე.

გთავაზობთ ამონარიდს პროექტის განმარტებითი ბარათიდან:

“ხელოვნების თითქმის ყველა დარგს გააჩნია უფრო რთულად დასაძლევი თემები. არქიტექტურაში, მონუმენტურ პლასტიკაში ასეთი თემაა - საფლავი. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს თემა სხვა დანარჩენთა შორის ზომიერებ-ის ასე ვთქვათ “ჩიკვიჩენტოა”. თემის ესთეტიკა საშინლად ვერ იტანს მიზანცდომილებას.

და რადგანაც, ამ, სრულიად განსხვავებულ ცხოვრებაგამოვლილ ახალგაზრდა ადამიანთა ხვედრი ყოფილა კონკრეტულად ამ ომში ერთად სამშობლოსთვის თავის შეწირვა, ჩვენი კონცეფციაც აქედან გამომდინარე; სასაფლაო ერთ დიდ საფლავად მოგვეაზრებინა.

ტერიტორია, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით 6 მეტრიანი ვარდნითაა, უნდა ითქვას, შესანიშნავადაა შერჩეული.

სასაფლაოს მთლიანი ტერიტორია ორი, გრძივი და განივი ღერძების გადაკვეთით, ანუ ჯვრით გავყავით 4 თანაბარ ფართად, რომელშიც ერთ-ერთი სეგმენტი აღმოჩნდა მეტნაკლებად უკვე შევსებული. რა პრინციპიც დანარჩენ 3 სეგმენტზეც გავრცელდებოდა საჭიროების შემთხვევაში. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მთლიანი ტერიტორია ერთ დიდ საფლავად მოიაზრება და ამ გადაწყვეტის რეალიზაციაში ერთი და იგივე მხატვრულ ხერხს მივმართეთ. კერძოდ, მთელს ტერიტორიას აღმოსავლეთით ქალაქის შემოსასვლელის მხრიდან ხსნის ორი ერთმანეთთან შეპირისპირებული ბეტონის მართკუთხა სამკუთხედი, რომელთა ერთიანობა თავისთავად ქმნის 12 მეტრის სიგრძის, და 6 მეტრის სიმაღლის ტოლფერდა სამკუთხედს. შეპირისპირების მხარეს სამკუთხედებს ისეთი კონფიგურაცია გააჩნიათ, რომ ერთიანობაში ტოლფერდა სამკუთხედის მყარი ტანი წმ. ნინოს ჯვრიანი ეკლესიის სილუეტს ქმნის. ეს, ჩვენის აზრით, მრავალსიმბოლოიანი გადაწყვეტა უპირველესად გვევლინება, როგორც სამოთხის კარი მარადისობაში, ერთი სამყაროდან მეორეში, სამყაროს კარი ღვთიური, როგორც უხილავი და ამავე დროს ნათლად ხილული, როგორც იქვე განსვენებული ბიჭების სულები და არამარტო მათი... იმათიც, ვინც ჩვენი ქვეყნის ერთგულებას თავი შესწირა.

კომპლქესის ამ მასშტაბური, წამყვანი კომპოზიციის გვერდით სახელმწიფო ალმები იქნა აღმართული.

გრძივი ღერძის გარდა, სასაფლაოს ტერიტორიაზე ორგანიზებული ჩართვა შესაძლებელია განივი ღერძითაც, რომელთა გადაკვეთაში 2.5 მეტრი სიმაღლის და 1.4 მეტრი დიამეტრის ბეტონის კომპოზიცია არის აღმართული. კომპოზიცია მახვილისა და ფარის ერთიანობის 4 შეწყვილებული ელემენტისგან შედგება. შუაში მარადიული ცეცხლია. დასავლეთის მხრიდან გრძივი ღერძის მარცხნივ, სადაც ტერიტორიაზე ერთადერთი ნაძვია, დასვენების ზონაა გათვალისწინებული.

დაკრძალულთა ზონა, რელიეფის ვარდნის მიხედვით დახრილი სირბტყე მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით. უშუალოდ საფლავები ამოჭრილია 100X200 სმ-ზე. საფლავის ზედაპირი ჰორიზონტალურია და გამწვანებული. ერთადერთი დომინანტი საფლავის თავში მცირე ასლია 12X6 მეტრიანი კომპოზიციის, რომელიც აღმოსავლეთიდან სასაფლაოს სიმბოლურ მემორიალად ევლინება. განსხვავება მხოლოდ ეკლესიის სილუეტის ნაცვლად შავი გრანიტის ნიშაა, გარდაცვლილის სურათით, წარწერით და სასანთლით. ამ ე.წ. საფლავის ქვას ასევე ამშვენებს წმ. ნინოს ჯვარი (აღსანიშნავია, რომ არაქრისტიანისთვის ჯვრის ნაცვლად მხოლოდ ვერტიკალური კვეთი იქნება, როგორც პროექტშია მოცემული).

სასაფლაოს მთელს პერიმეტრს მწკრივად ჩაუდის კიპარისთა რიგი. სიმბოლურად ეს იმ ჯარისკაცთა „მეციხოვნენი“ არიან, რომელთა ნეშთიც, ადრე თუ გვიან, ამავე მეციხოვნეთა ფესვეს შეერწყმება და შემდგომში ჩვენი გმირები მარადიულ მწვანე მონუმენტებად მოგვევლინებიან.














# Memorial to the dead warriors







On January 21-22 2009 Ministry of Culture, Monument Protection and Sport and Ministry of Defense of Georgia announced a competition on the concept of Mukhatgverdi Communal Grave in memoriam of the soldiers killed during the military conflict of August 2008. Competition terms were published in "24 Hours" newspaper and on the web pages of both ministries; the action was publicized by Georgian TV channels.

Competition materials were retrieved by 38 architects and entries were submitted by 24 of them.

Evaluation of the entries was entrusted to a commission, formed under decree no. 3/9 issued by Minister of Culture, Monument Protection and Sport on February 23 2009, and comprising the following members:

Marine Chogoshvili - deputy minister of Culture, Monument Protection and Sports of Georgia and chairman of the jury; Nikoloz Abashidze - architect; David Abuladze - architect, president of the Union of Architects of Georgia; Nodar Amashukeli - architect, dean of the architectural faculty of Tbilisi State Academy of Art; Nikoloz Dadiani - member of Architecture, Art and Restoration Board of the Georgian Patriarchy; Nugzar Davlianidze - head of capital construction department of the Development Service of Tbilisi City Hall; Koba Liklikadze - military analyst of radio "Tavisupleba", member of Democracy and Development Foundation; Irakli Zhvania - sculptor; Mamuka Kherkheulidze - deputy director of the administrative department of the Ministry of Defense of Georgia; Giorgi Khoshtaria - expert, art critic.

On February 24 2009 competition materials were exhibited in Tbilisi History Museum.

The jury arranged two working sessions to identify the best project. The competition was closed; the winning project, designed by architects Lado and Giorgi Khmaladze, was announced on February 25, at the exhibition arranged in Karvasla. Below please find an extract from project explication:

Almost all forms of art have comparatively difficult themes. In architecture and monumental art such theme is a grave, which requires increased degree of moderation and rejects all inexpediency.

And since these young men coming from totally different walks of life had one destiny - to sacrifice themselves to their homeland in the August war - the authors decided to found their conception on this fact and turn Mukhatgverdi cemetery into one large bed of honor.





The site, sloping from west to east by 6 meters, was a perfect match for the project.

The cemetery has been broken down into 4 equal parts by a crossing of two linear and lateral axes. One of these segments is already "populated", and the other 3 are comparatively vacant. As noted above, the whole site is perceived as one integral memorial grave and the architects strove to realize this solution by applying homogeneous artistic means. The main - east - entrance to the cemetery is decorated by two right-angled triangles standing side by side and forming together a 12-meter long and 6-meter tall equilateral triangle. Facing vertical sides of the two triangles are carved; in unity, these carved sides form an ark shaped like St. Nino's temple. This polysemantic image impersonates a gateway into eternity, a door leading from the mundane world into the heaven, a symbol invisible and material at the same time, like the souls of the young men buried in this cemetery and those of the other people, who devoted their lives to the well-being of our country.

The crossing of linear and lateral axes is decorated by 2.5 meter high concrete composition depicting a shield and a sword. The monument is crowned by eternal light. Area to the west from the linear axis, where a solitary fir-tree is growing, is allocated for a rest zone.

The sloping surface of the site where the graves are located is paved with decorative stone slabs. The graves themselves are 100 cm wide and 200 cm long; their surface is leveled and planted with grass; the only dominant is a miniature model of 12 by 6 meter entrance monument at the head of each grave. The only difference between the main memorial and its miniature replicas is that in case of the latter the shape of St. Nino's temple is replaced by a transparent cross (or a vertical slit if the deceased is not a Christian), under which there is a granite niche containing the soldier's photo, memorial inscription and a candle socket.

The perimeter of the cemetery is bordered by a row of cypresses. Symbolically, this line of tall slim trees stands to guard the deceased, whose remains will dissipate and feed the "guardians'" roots, so that in the distant future the heroes lying at the cemetery will be transfigured into everlasting green monuments.











# სინესტარი

ზაგრებში იგი პირველი რგოლია კონცერნ „ბლიც-სინესტარის“ მიერ შექმნილი მრავალპროფილიანი კომპლექსების ქსელში, რომელიც მოიცავს ხორვატიის ექვს ქალაქს: ზაგრებს, სპლიტს, ზადარს, სებენიკს, ოსიეკს და ვარაზდინს.

ზაგრების „სინესტარი“ განთავსებულია მსხვილ თანამედროვე კომერციულ ცენტრში, ქალაქის საკვანძო არტერიების გადაკვეთაზე. ამ კინოთეატრის ცხრა უაღრესად კომფორტულ და თანამედროვე ციფრული საპროექციო ტექნიკით აღჭურვილ დარბაზში შეიძლება ერთდროულად განთავსდეს 1800 მაყურებელი.

არქიტექტორ მარკო როდას მიერ შექმნილი ამ პროექტის ძირითადი უპირატესობაა ერთდროულად რამდენიმე რადიკალურად განსხვავებული განათების სისტემის მართვის შესაძლებლობა, რაც არ უშლის ხელს „სინესტარის“ მსგავსი შენობისთვის აუცილებელი უსაფრთხოების სტანდარტების სრულ დაცვას.

„სინესტარში“ განთავსებული სალაროები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, დერეფნები და მოსაცდელი დარბაზები აღიჭურვა „Team“-ის ჯგუფის გასანათებლებით, ხოლო ადმინისტრაციულ ზონაში არქიტექტორმა უპირატესობა მიანიჭა „Thot“-ის მოდულურ დასაკიდ სისტემებს, დაბალი ინტენსივობის სინათლის მარეგულირებელი ოპტიკით და პოლიკარბონატული დიფუზორებით.

„Team“-ის ჯგუფი აერთიანებს მრავალწყაროიან ჭერის ჰალოგენურ გასანათებლებს. სისტემა მოიცავს ლითონის ჩარჩოს და პლატფორმას; ორივე მათგანი შეიძლება შეიღებოს. ალუმინის ნათურის დგარები რეგულირებადია (+/-22 გრადუსი); გასანათებლების ეს ჯგუფი აღჭურვილია დაპატენტებული FLASH-სისტემით, რომელიც საგრძნობლად ამარტივებს „Team“-ის გასანათებლების დამონტაჟებას დაკიდულ ჭერზე.

„Thot“-ის ხაზი წარმოადგენს გასანათებლების მოდულურ სისტემას, რომელიც შეიძლება დაიკიდოს ან დამაგრდეს ჭერზე, კედლებზე ან ნიშებში. „Thot“-ის დეტალები ალუმინისგანაა დამზადებული; სისტემა განკუთვნილია T16 ტიპის ხაზოვანი ფლუორესცენტული სინათლის წყაროებისთვის. „Thot“-ის გასანათებლების გამრავალფეროვნება შესაძლებელია პოლიკარბონატული დიფუზორებით, დაბალი ინტენსივობის სინათლის მარეგულირებელი ოპტიკით და ა.შ.

# Cinestar

Cinestar at the Avenue Mall in Zagber (CROATIA) is the first of six multiplexes to bi built by the local concern Blitz-CineStar in the towns of Split, Zadar, Sebenik, Osijek and Varazdin.

It is located on a large, third-generation commercial complex at the junction of the main thoroughfares. Its nine theaters can seat approximately 1800 spectators and offer state-of-the-art digital projection systems and ultimate comfort for spectators.

The project was designed by architect Marco Rodda, and it integrates the possibility to manage several lighting ambiances with a particular attention to safety standards, as required by a building with this kind of function.

The lighting of areas used for ticket offices, food services and passing ways has been achieved with Team fixtures whereas for offices and meeting rooms the architect has opted for the Thot modular pendant system with polycarbonate diffuser of low luminance optics.

Team is a multi-source downlight for halogen and metal halide lamps. It is made up of a metal plate counterframe and a metal perimeter frame, both painted. The painted die-cast aluminum aptics are adjustable (+/-22*). It is fitted with the patented FLASH loking system for 0-30mm false ceilings, which makes installation operations easier and faster.

Thot is a modular, pendant, ceiling, wall and recessed lighting system. It is constructed in extruded aluminum and uses linear T16 fluorescent light sources. Thot is available with polycarbonate diffuser, extremely low luminance optics, Dark Light in specular aluminum or matt aluminum.





# ილირიკა

პაწაწუნა სლოვენიაში მდგომარეობა ელვისებური სისწრაფით იცვლება: თუ ათიოდე წლის წინ მოგიხდათ ლიუბლიანაში ჩასვლა, ნამდვილად შეაფასებდით იმ თვალნათლივ სხვაობას, რომელიც დაეტყო ქალაქს კომუნისტური რეჟიმის ნგრევისა და იუგოსლავიის დაშლის შემდეგ.

სლოვენიის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საინვესტიციო კომპანიის „ილირიკას" სათაო ოფისი მდებარეობს ქალაქის ცენტრში, სლოვენსკა ჩესტაზე, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პერიოდში აგებულ შენობაში. ამ პროექტის ავტორიც მარკო როდა გახლავთ.

საოფისე სივრცის და დერეფნების განათება მოხერხდა „Thot"-ის და „Sharp"-ის ფლუორესცენტული სისტემებით, რომლებიც განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩევა დაბალი ინტენსივობის სინათლის მარეგულირებელი ოპტიკისა და პოლიკარბონატული დიფუზორების წყალობით.

„Thot"-ის ხაზი წარმოადგენს გასანათებლების მოდულურ სისტემას, რომელიც შეიძლება დაიკიდოს ან დამაგრდეს ჭერზე, კედლებზე ან ნიშებში. „Thot"-ის გასანათებლების ყველა დეტალი ალუმინისგანაა დამზადებული; სისტემა განკუთვნილია T16 ტიპის ხაზოვანი ფლუორესცენტული სინათლის წყაროებისთვის. „Thot"-ის გასანათებლების გამრავალფეროვნება შესაძლებელია პოლიკარბონატული დიფუზორებით, დაბალი ინტენსივობის სინათლის მარეგულირებელი ოპტიკით და ა.შ.

„Sharp"-ის დაკიდული, კედლისა და ჭერის გასანათებლები უხდება ფლუორესცენტულ ხაზოვან ერთ ან ორნათურიან განათების წყაროებს. „Sharp"-ის გასანათებლები ძალიან მოქნილია – გასანათებლის ბრუნვის რადიუსი 355°-ს აღწევს. ამ სისტემის გასანათებლებზე შეიძლება დამატებით დამონტაჟდეს პოლიკარბონატული დიფუზორები, დაბალი ინტენსივობის სინათლის მარეგულირებელი ოპტიკა და ა.შ.



# Ilirica

In tiny Slovenia, things change at an astonishing speed, if you used to hand out in Ljubljana just ten years ago, you would very quickly forget the doom and gloom that the Communist regime had managed to steep all the towns of the former Yugoslavia in.

The head office of Ilirica, one of Slovenia's most prestigious financial investment firms, occupies a building with was erected on Slovenska Cesta, one of the town's busiest thoroughfares, during the regime.

Architect Marco Rodda is the author of this project too.

The lighting of office spaces and passageways has been achieved with Thot and Sharp fluorescence systems, fixtures that have proved to perform particularly well thanks to the use of low luminance optics and polycarbonate diffusers.

Thot is a modular, pendant ceiling , wall and recessed lighting system. It is produced in extruded aluminum and uses linear T16 fluorescent light sources.Thot is available with polycarbonate diffuser, axtremely low luminance optics, Dark Light in specular aluminum or matt aluminum.

Sharp is a lighting system for fluorescent linear single and dual-lamp light sources, single and dual-emission, available in the wall, ceiling and pendant versions.

The lamp body can be adjusted by 355° by means of the suitable joints. Available with polycarbonate diffuser, polycarbonate grid screen, Dark Light single-lamp, low luminance, comfort and Dark Light UGR optics.









# თანამედროვე აზერბაიჯანული არქიტექტურა



ამჯერად წარმოგიდგენთ არქიტექტორ ნაზიმ ფარაჯზადეს შემოქმედებით ფრაგმენტებს.

დაიბადა 1954 წლის 3 ნოემბერს ქ. ბაქოში.

1972-1977 წლებში სწავლობდა აზერბაიჯანის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე სახელმწიფო საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებში. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა კიევის, თბილისის, კიშინიოვის, მოსკოვის წამყვანი საპროექტო ინსტიტუტების არქიტექტორებთან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მუშაობდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის აპარატის გამოცემის და ასევე რამდენიმე ილუსტრირებულ ჟურნალში მთავარ დიზაინერად.



RESIDENTIAL COMPLEX «ZIQ-ZAQ» IN KUTKASHENLI STREET, IN BAKU
The two-block apartment house has the original zigzag plan that is dictated by very difficult town-planning situation in which the author of the project was possible manage successfully a building. The construction distinguishes clearness of the architectural decision, ease and the present of forms and building lines. The first some floors of the complex equipped with underground parking place, are provided under numerous shops, cafe, consumer services establishments.

ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲙᲣᲢᲙᲐᲨᲔᲜᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲑᲐᲥᲝᲨᲘ
ორბლოკიან საცხოვრებელ სახლს აქვს ზიგზაგისებური გეგმა. ეს ნაკარნახევია მეტად რთული ქალაქმშენებლობითი სიტუაციით, რომელშიც ავტორმა წარმატებულად შესძლო ჩაეწერა შენობა. სახლი გამოირჩევა არქიტექტურული გადაწყვეტის სიზუსტით, თანამედროვე ფორმების სიმსუბუქით, საინტერესო ინფრასტრუქტურით.



### საზოგადოებრივ-გასართობი ცენტრი „დალქალარი“ ნევტჩილიარის გამზირზე ბაქოში

საზოგადოებრივ-გასართობი ცენტრი „დალქალარი“ დაპროექტებულია ბაქოში ზღვისპირა ბულვარში ასაშენებლად. კომპლექსი, რომელიც მოიცავს მრავალრიცხოვან მაღაზიებს, ბუტიკებს, რესტორნებს, კაფე-ბარებს, გადანაწილებულია სხვადასხვა დონეზე. ცენტრალური ატრიუმი, რომელიც შენობას მთელ სიგრძეზე გასდევს, თაღოვანი ფანრითაა გადახურული. პროექტით ასევე გათვალისწინებულია ყინულის არენა. მისი გუმბათის ნაწილი გამოწეულია შენობის პერიმეტრიდან. მინის სამდონიანი სფერო, რომელშიც რესტორნებია განთავსებული - ავტორის საუკეთესო მიგნებაა პროექტში, ზღვისკენ მიმართული ცენტრის ფასადი, დაგაწყვეტილია ტალღისებური ფორმებით. აქ განთავსებულია ღია ტერასები. უდაოა, რომ სამომავლოდ განხორციელებული პროექტი განსაკუთრებულ ხიბლს შესძენს ქალაქის პანორამას კასპიის ზღვის მხრიდან.

### SOCIALLY-ENTERTAINING CENTRE “DALQALAR” ON AVENUE NEFTCHILJAR IN BAKU

Socially-entertaining centre “Dalqalar” is designed for building in territory of Seaside parkway of Baku. The complex including numerous shops, boutiques, restaurants, cafe and bars, is conceived in some levels blocked by a vaulted lantern over central, stretched on all length of a building. The project also provides the ice arena which part of a dome acts over a building. A glass three-level sphere in which restaurants – the successful decision of the author of the project are placed. The facade of the centre turned aside the sea, is developed in a wave mode where open terraces are placed. Undoubtedly that the project, being realised, will decorate



1995 წელს გადავიდა ლონდონში (დიდი ბრიტანეთი), სადაც მუშაობდა სხვადასხვა დიზაინერულ და არქიტექტურულ კომპანიებში.

დღეს დაკავებულია კერძო არქიტექტურული პრაქტიკით ბაქოში.

არქიტექტორის პროექტი - „Qizil Qum“ გახდა 2006 წლის კონკურსის „Cool Wall“ (თემა „საცხოვრებელი სივრცე“) ლაურეატი.

არქიტექტორი ნაზიმ ფარაჯზადე გახლავთ:

- საერთაშორისო კონკურსის დიპლომანტი, საუკეთესო არქიტექტურული პროექტისათვის - „საცხოვრებელი სახლების სერია ქ. ბაქოში“. 1986 წ;
- რესპუბლიკური კონკურსის დიპლომანტი საუკეთესო არქიტექტურული პროექტისათვის. 1986 წ;
- ქ. ბაქოსა და ქვეყნის „რეკლამისტების კავშირის“ მიერ ჩატარებული კონკურსის დიპლომანტი საუკეთესო სარეკლამო, მარკეტინგული და ბეჭვდითი პროდუქციისთვის. 1996 წ;
- მონაწილე სხვადასხვა საერთაშორისო არქიტექტურული და სამშენებლო კონფერენციებისა მოსკოვში, ბაქოში, კიევში, შანხაიში, ტურინში.
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირის წევრი.



მეტრო სადგურ „28 მაისის“ ინტერიერი. ქ. ბაქო
THE DESIGN OFFER ON WORKING OUT OF AN INTERIOR OF AN EXIT OF METRO STATION «ON MAY, 28TH» IN BAKU



საპროექტო წინადადება ტერიტორიის განაშენიანებისათვის მალაკნების მოედანზე, ბაქოს ცენტრში

THE DESIGN OFFER ON SITE BUILDING ON THE AREA OF MALAKAN IN THE CENTRE OF BAKU.



**სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრის პროექტი ქ. ზაქათალაში, აზერბაიჯანი.**
სამედიცინო დაწესებულების საერთო ფართი შეადგენს 6000კვ.მ. ავტორმა ცენტრის ყველა სათავსო განათავსა რამდენიმე მსხვილ მოცულობაში, რომლებიც ერთმანეთს შემინული ატრიუმებით უკავშირდება. შენობის ექსტერიერში - დიდი სივრცეების კონსტრუირების არასტანდარტულად გადაწყვეტაში, XX საუკუნის არქიტექტურული ავანგარდის გამოჩენილი ოსტატების შემოქმედებათა ზეგავლენა იგრძნობა, რაც ნიჭიერი არქიტექტორის ნაზიმ ფარაჯზადეს ნამუშევრებისთვისაა დამახასიათებელი.

**THE DESIGN OFFER ON BUILDING OF THE DIAGNOSTIC MEDICAL CENTRE IN ZAKATALA, AZERBAIJAN**
**The total area of the project of medical institution makes more than 6000 sq.m. the Author of the project has placed all premises of the Center in the several large volumes informed among themselves by means of the general zone, blocked big glass. In external architecture of a building, in the non-standard approach to designing of the big spaces, in an especial functionalism of architectural decisions - stylistic influence of works of outstanding masters of architectural avant-guard of the**



საცხოვრებელი სახლი «MONTIN HOUSE» ბაქოში

RESIDENTIAL HOUSE - «MONTIN HOUSE» IN BAKU

# Modern Azerbaijani Architecture

*Featuring the works of architect Nazim Farajzade*

Nazim Farajzade was born on November, 3rd, 1954 in Baku, Azerbaijan.

In 1972-1977 studied at Architectural faculty of the Azerbaijan construction institute. After the institute termination worked in the various state design and building organisations specialising in designing and building of inhabited and public buildings and constructions - was responsible for working out objects of different scale and function. Worked also over the important governmental tasks on habitation designing, Tbilisi, Moscow co-operated with designers of leading allied project institutes in Kiev, Kishinev.

After disintegration of Soviet Union worked as the main designer in several illustrated magazines, including editions and the Device of the President of Azerbaijan.

In 1995 has moved in London (Great Britain) where works in the various design and architectural companies.

Now is engaged in private architectural practice in Baku.

The project of the architect «Qizil Qum» became the winner of competition «Cool Wall» on a theme «Inhabited Space» in 2006. Also Nazim Farajzade became the student of All-Union competition on the best architectural project in 1986 for a series of the designed apartment houses in Baku, the student of Republican competition on the best architectural project in 1986, the student of competition on the best advertising, marketing and a printed matter in 1996, spent by the Mayoralty of Baku and the Union of advertisement makers of the country. The participant of several international architectural and building conferences in Moscow, Baku, Kiev, Shanghai, Turin.

Member of the Union of architects of the Azerbaijan Republic.



გასართობი ცენტრი «ოაზისი». კონცეპტუალური საპროექტო წინადადება.

THE CONCEPTUAL DESIGN OFFER ON ENTERTAINING CENTRE “OAZIS”





# სტილის შესაბამისობა „ცხოვრების” წესსთან



ალექსანდრე მეფარიშვილის ფოტო
PHOTO BY ALEXANDRE MEPARISHVILI

როდესაც საზოგადოებრივი ინტერიერი პროფესიონალის მიერ იქმნება – მაქსიმალურად ეფექტურად წარმოჩენილი შედეგი ყოველთვის ორიგინალურობით უნდა გამოირჩეოდეს, ფუნქციონალურად და ესთეტიკურად უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ მოთხოვნებს. ამჯერად წარმოდგენილ, არქიტექტორ ანეტა რევიაკინას მიერ შექმნილ იარაღის მაღაზიის ინტერიერში, მოცულობა პლასტიკურად ვითარდება. მაღაზია ლიტვაში, ქალაქ კლაიპედაში მდებარეობს. მასში, კომპოზიციური პრინციპის შენარჩუნებით, სათავსოების შიდა სტრუქტურა ფორმათა მრავალფეროვნებით იქმნება.

ავტორის მაღალი გემოვნების გამოვლენით, საზოგადოებრივი სივრცის ერთიანი ინტერიერული სახე – თანამედროვე დეკორის მოტივებით, მოცულობითი, პლასტიკური და ფერითი გადაწყვეტებით, არქიტექტურული რითმებით - არაორდინალურია. საერთო ლაკონიზმი, დეტალებისადმი უნატიფესი დამოკიდებულებითაა კომპენსირებული. მათი ვიზუალიზაცია ერთიანი დიზაინის ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. ყოველივე კი ერთ ამოცანას ემსახურება – შეიქმნას მყუდრო, სრულყოფილი, ესთეტიკურად თვითმყოფადი სივრცე.

შემოქმედებითი თავისუფლება შესაძლებელს ხდის მიღწეულ იქნას სტილისტური მთლიანობა, მას განმარტება არ სჭირდება – მნიშვნელოვანია სტილის სრული შესაბამისობა არსებული გარემოს „ცხოვრების“ წესსთან.

ნინო ლაღიძე













# Style in Conformance with Lifestyle

When a public interior is designed by a professional, the result is sure to possess such qualities as originality, functional and aesthetic conformance to definite demands. Interior of Weapon-shop in Klaipeda (Lithuania), designed by Architect Aneta Reviakina, boasts diversity of forms, based on a supreme compositional principle.

Refined taste of the author turned this public space into an integral and original interior featuring a diversity of decor motives, flexible volume and color solutions and architectural rhythms. All these feats served to achieve just one task – creation of a comfortable, perfect, aesthetically unique interior space.

Creative freedom made it possible to ensure stylistic integrity, which does not require further explanation and is in full conformance with the lifestyle of the shop.

NINO LAGHIDZE






არქიტექტურა - დიზაინი
ARCHITECTURAL
DESIGN
Group
Cube
Web: CUBE.GE
Mob: (+995) 99 93 96 93
(+995) 95 72 09 20
E-mail: CUBE@INFO.GE

Internazionale del Mobile

# საერთაშორისო გამოფენა მილანში - Internazionale del Mobile

















22 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით მილანში შედგა ავეჯისა და ინტერიერის დიზაინის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა - გამოფენა I Saloni Milano. როგორც ჩანს ეკონომიკურმა რყევამ, რომელმაც მთელი მსოფლიო შეაშფოთა, ზეგავლენა ვერ მოახდინა დიზაინირებისა და ავეჯის მწარმოებელთა განწყობაზე, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვა ძველებური გაქანებითა და ბრწყინვალებით შედგა.

თავიანთი მიღწევები გამოფენაზე წარმოაჩინა 2723 ექსპონატმა (მათ შორის 911 - არაიტალიური კომპანიაა), რომელთა შორის იყვნენ SaloneSatellite-ს სექტორის წარმომადგენელი ახალგაზრდა დიზაინერები. I Saloni-ს ფარგლებში საერთაშორისო ავეჯის სალონ Salone Internazionale del Mobile-თან ერთად შედგა:

- ავეჯის აქსესუარების გამოფენა - International Furnishing Accessories Exhibition;
- ახალგაზრდა დიზაინერების გამოფენა - SaloneSatellite, რომლის ფორმირება ღია საერთაშორისო კონკურსის შედეგად ხდება;
- და ექსპოზიცია Euroluce, რომელიც გასანათებლების დიზაინს მიეძღვნა. გამოფენა ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

ძირითად გამოფენას თან ერთვოდა მრავალი საინტერესო ღონისძიება, რომლებიც ჩატარდა გალერეებში, სალონებში და ქალაქის ღია მოედნებზე. მათ შორის აღსანიშნავია გამოფენა პალაცო რეალეში (Palazzo Reale) - Magnificence and Project - იტალიური დეკორატიული ხელოვნებისა და დიზაინის ხუთი საუკუნე. გამოფენაზე, ძირითადი ყურადღება მიექცა გასული საუკუნეების იტალიურ კლასიკურ ავეჯსა და წინა საუკუნის ბოლო წლების თანამედროვე იტალიური დიზაინის ნაწარმოებებს შორის არსებულ პარალელებს.

I Saloni-ზე წარმოდგენილი იყო: 10-UNIT SYSTEM. ავეჯი L-ფორმის მოდულისგან.; „ღრუბელი“ - ტოკუჯინა იოშიოკას ახალი დივან-სოფა ; სტუდია Front-ს ქალური დიზაინი; Fergana - უზბეკეთის საუკეთესო ტრადიციები; სუში - „არ იჭმევა, მაგრამ ლამაზია“. კოლექცია Sushi - Moroso Vegetal (მცენარეული) -უნივერსალური სკამი ორგანიკული სტრუქტურით; „შენი და ჩემი“ - ასეთი სახელწოდებით იქნა გამოფენაზე წარდგენილი ფრენკ გერის ახალი დიზაინი; ავეჯი ამანათებისგან და მრავალი, მრავალი სხვა, რომელთაგან რამდენიმეს უფრო დეტალურად გაგაცნობთ.

მილანის Internazionale del Mobile-ს ორგანიზაციას ახდენს კომპანია COSMIT, რომლის თავმჯდომარეც სულ ახლახანს გახდა კარლო გულიელმი (Carlo Guglielmi). იგი თავიდანვე ოპტიმისტურად იყო განწყობილი და მნიშვნელოვანი როლი დაუთმო I Saloni-ს გამოფენას, რომელმაც კვლავ გააერთიანა ინტერიერის შემადგენელი ელემენტების მწარმოებლები, დიზაინერები, არქიტექტორები და დამკვეთები.

მოამზადა ნინო ლალიძემ

# International Furniture and Design Exhibition in Milan - Internazionale del Mobile













On April 22-27 2009 Milan hosted the most important event in the sphere of furniture production and interior design - exhibition I Saloni Milano. Apparently, the lack of economic stability did not have any influence on the creative potential of designers and furniture manufacturers; in any case, international sale-exhibition was organized with its usual luxury and splendor.

2723 exhibitors (including 911 non-Italian companies) featured their recent achievements at I Saloni and SaloneSatellite. In the framework of I Saloni program, Salone Internazionale del Mobile hosted the following events:

- International Furnishing Accessories' Exhibition;
- Exhibition of young designers SaloneSatellite, representing a final stage of an open competition;
- Biennial exposition Euroluce, dedicated to the design of light fixtures.

The main exhibition was accompanied by many other interesting actions, arranged in galleries, salons and open plazas around the city. The most notable of these was exhibition in Palazzo Reale titled "Magnificence and Project" and dedicated to the five-century history of Italian decorative art and design. The exhibition offered interesting parallels between the classical Italian furniture of the past centuries and the modern Italian design trends.

From among the designs represented at I Saloni, we would like to specially mention the 10-Unit System, furniture consisting of L-shape modules, "the Cloud" - new sofa design by Tokujina Yoshioka, feminine designs by Studion Front, Fergana designs recalling Uzbek motives, inedible but pretty Sushi - Moroso Vegetal collection of universal chairs with organic structures; "Mine and Yours" - new designs by Frank Gehry and many others.

Internazionale del Mobile exhibitions are organized by Cosmit company, leadership of which was recently passed to Carlo Guglielmi. Mr. Guglielmi attributed considerable importance to I Saloni as a highly efficient medium capable to uniting manufacturers of interior decoration articles, designers, architects and clients.

PREPARED BY NINO LAGHIDZE


FRAJUMAR
WWW.FRAJUM






frajumar | S_09





Internazionale del Mobile

# SERRALUNGA







designed by Aquilialberg



designed by Michel Boucquillon



designed by
Marc Sadler



designed by
Michele De
Lucchi



designed by Aquilialberg



designed by Christophe Pillet



designed by Lina Obregon



designed by
Todd Bracher

# Artigo News

*University library and library archive rooms Copenhagen, Denmark*

Phase one: 1998
Phase two: 2008
Closed competition 1994: First prize
Floor area: 13,300 m2
Artigo: 3.300 m2
Client: The Danish Ministry of Culture / The Danish Royal Library
Owner's consultant: Byggedirektoratet / Danish Building Directorate (phase one) and Moe & Brødsgaard (phase two)
Architect and design/build consultant: DISSING+WEITLING
Landscape Architect: Sven Kierkegaard
Engineer: Rambøll
Artistic decoration: Vibeke Mencke Nielsen and Martin Erik Andersen
Prize: G-Mark Award for Good Design











DP
Di Palma Associati

ინტერიერი

INTERIOR

# საზოგადოებრივი ინტერიერი For Season

თანამედროვე საზოგადოებრივი ინტერიერის დიზაინი და პროფესიონალთა მიერ მასში წარმოქმნილი, თემატური სცენარით შექმნილი ატმოსფერო, შრომატევადი, საინტერესო შემოქმედებითი გზის შედეგია.

„დიზაინ ბიუროს“ (Design Bureau) დიზაინერების - ნია მგალობლიშვილის, ია ლიპარტელიანის, სოფიო შევარდნაძის - შემოქმედებითი ჯგუფის პროექტით შექმნილი მაღაზია სალონის „For Season“ საზოგადოებრივი გარემო, მისი შემადგენელი მობილური ელემენტების ურთიერთჰარმონიულობით, ერთი მთლიანი, ცოცხალი ორგანიზმია. გახსნილი სივრცე ერთიანად აღიქმება, თუმცა მასში ყოველი ცალკეული ელემენტი ერთგვარად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია. მათი ლავირება შეუმჩნეველი ნიუანსებით წარმოებს. ინტერიერის თოთოეული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური სიბრტყე თამამი, არაორდინალური დეკორაციაა, დიზაინერული კოლაჟია. მათი კომპოზიციური წყობა, ტონალობა, ფურნიტურასთან, აქსესუარებთან სინქრონი, სრულყოფილების შეგრძნებას ბადებს.

ნინო ლალიძე

ფოტო: ირაკლი ბლუიშვილი





# Public Interior For Season

Design of modern public interior and the atmosphere created in it by professionals according to a thematic scenario result from long-term, laborious creative efforts.

Public interior of For Season shop, created by Design Bureau designers Nia Mgaloblishvili, Ia Liparteliani and Sophie Shevardnadze is an integral entity comprising a harmonious variety of mobile elements. The open space is perceived in its entirety, though all of its components are equally important and original. The unique quality of their design, positioning, individuality is achieved with the help of unnoticeable touches. Each horizontal or vertical surface of the interior is a bold statement, unordinary decoration, design collage. Their compositional structure, coloring, synchronization with furniture and accessories evokes the feeling of perfection.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY IRAKLI BLUISHVILI









# არქიტექტურული ფიგურის კონცეფცია

2009 წლის თებერვალში თბილისში გაიხსნა "დამოუკიდებელი კინოსერვისის" და "დამოუკიდებელი კინოპროექტის" განახლებული ოფისი. წარმოდგენილი პროექტი შეასრულა "კუბიკ სტუდიომ".







პროექტზე მუშაობდნენ სტუდიის დამფუძნებლები: მხატვარ-არქიტექტორი თამარ ვალიშვილი, დიზაინერი ქეთევან სამსონაძე. პროექტის მენეჯერი გახლავთ თამარ ბასილია.

მუშაობას ,,კუბიკ სტუდიო“ შეუდგა 2008 წლის მაისში. პირველი ეტაპი გულისხმობდა გეგმარებას, შემდგომ ეტაპზე განხორციელდა ინტერიერის დიზაინის და ავეჯის პროექტი. როდესაც ყველა მუშა ნახაზი მზად იყო, ,,კუბიკ სტუდიო” პროექტის განხორციელებას ჩაუდგა სათავეში.

ხელმძღვანელობდა მშენებლობას, ინტერიერის დიზაინისა და ავეჯის დამზადების პროცესს.

თანამედროვე არქიტექტურაში განათება დიდ როლს თამაშობს, ამ კომპონენტს პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ცნობილია, რომ სწორი განათება ზრდის თანამშრომლების ქმედითუნარიანობას. ,,კუბიკ სტუდიო” სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა.

ამ წარმატებულმა პროექტმა ,,კუბიკ სტუდიოს” ბევრი საინტერესო შემოთავაზება მოუტანა.

წარმოდგენილი ობიექტის ინტერიერული გარემოს თავისუფალი სივრცე ინდივიდუალურია და განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. სისადავე, გეგმარების თავისუფლება და დინამიზმი ,,კუბიკ სტუდიოს" კონცეპტუალური კრედოა. წინა პლანზე წამოწეული გამომხატველობითი არქიტექტურული ფიგურის კონცეფცია ესთეტიკურ ილუზიებთან ერთად უფრო ღრმა, დამოუკიდებელ აზრს და მნიშვნელობას მოიცავს.

ინტერიერის მიკროგარემო - დამოუკიდებელი მოცულობები - მათთვის დამახასიათებელი ფუნქციურობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ემოციური დატვირთვით აღიქმება, კონკრეტულ მიზანს ექვემდებარება, მაგრამ ამავე დროს სივრცის საერთო წყობასთანაა შეთავსებული. ესთეტიკური, ნატიფი ფორმის მნიშვნელობა მის რეალურობაშია განხორციელებული. ,,კუბიკ სტუდიოს" მუშაობის დახვეწილმა სტილმა და გემოვნებამ სრულიად განსაზღვრა ინტერიერის სტილისტური მთლიანობა და ცხოვრების წესთან შესაბამისობა.

ნინო ლაღიძე









# The Conception of Expressive Architectural Image

*In February 2009 renovated office of "Independent Cinema Service" and "Independent Cinema Project" was launched in Tbilisi. The project of this office was designed by "Cubic Studio".*



The project was developed by studio founders: artist and architect Tamar Valishvili and designer Ketevan Samsonadze. Project is supervised by Tamar Basilia.

Cubic Studio started to work on the project in May 2008. First stage activities implied planning, then came the time of interior and furniture design. When all the sketches and drawings were ready, the working team of Cubic Studio got involved into actual implementation of the project, including interior decoration and production of furniture.

Lighting plays an important role in modern architecture. Also in this project this component occupies considerable place. It is commonly known that correctly planned lighting increases productivity of the personnel, and Cubic Studio focused its attention on this principle.

This successful project greatly increased the demand on Cubic Studio's services.

Interior of this office is a free-flowing space with distinct individuality and precisely defined function. Simplicity, uninhibited planning and dynamism – these are the key principles which Cubic Studio used in its work. The conception of expressive architectural image, forming the foreground of the design, is strengthened by aesthetic associations and deep connotations.

The interior consists of independent volumes bearing different emotional "colouring" depending on their functional specifics but efficiently merging into the general structure of the space. The importance of aesthetically valuable, refined forms is accentuated by the quality of their implementation. Cubic Studio's distinctive style and refined taste successfully defined individuality of the interior and integrated it into the surrounding life.

NINO LAGHIDZE









# Jnby - მოდერნისტული დიზაინი

თბილისში ახლად გახსნილი კონცეპტუალური სტილის ტანსაცმლის მაღაზიის „ჯეი ენ ბი უაი“-ს ინტერიერის დიზაინი არქიტექტორ სანდრო კაციტაძის და ჩინელი კოლეგების ერთობლივი ნამუშევარია.

მოცემულ სივრცეში მაღალი ხარისხის ბრენდების წარმოჩენისას შესაბამისი დადებითი განწყობის შესაქმნელად, პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, ფურნიტურის ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერითი კონტრასტებით, თანამედროვე ინტერიერი შეიქმნა. მისი სტილი ისევე როგორც თავად ტანსაცმელი თავისუფალია - industrial post-modernism design.

საზოგადოებრივ სივრცეში მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება, მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასში





მუდმივად ცვალებადი პროდუქციის არაორდინალურობას, ფერთა სიღრმეს თუ ინტენსიობას.

ავტორთა ძალისხმევით, სივრცეში აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი შეიქმნა. ინტერიერის დიზაინი დახვეწილი გემოვნების და შესაბამისი ინტელექტუალურ-ურბანული მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.

ნინო ლალიძე

ფოტო თამრი ბოლქვაძე









Interior of conceptual design clothes shop JNBY, newly launched in Tbilisi, has been designed by architect Sandro Katsitadze and his Chinese colleagues.

To create a positive environment, required for promotion of high quality brands, the designers created a modern interior space with clear-cut architectural graphics, original choice of furniture and contrasting colors. The style of the shop interior – industrial post-modernism design – is as free and uninhibited as that of the clothes it features. Unexpected design touches add lightness and comfort to the public space. Stylistic integrity of the interior does not subdue individuality and functionality of constituent parts; on the contrary, their diversity leaves the impression of weightlessness. All elements of the space contribute to the general feeling of freedom. A diverse palette of constructional and decorative details is applied to visually increase the interior and highlight originality of constantly changing clothes collections exhibited on the shelves and racks.

The authors have succeeded in designing a highly comfortable space, standing as a proof to their refined taste and urban thinking.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY TAMRI BOLKVADZE



# JNBY – Modernism Design















# ოვალი

*ამერიკული რესტორანი*
*თბილისი, რკინის რიგი **6***
*დიზაინის ავტორები:*
*არქიტექტორები: ლევან სალუქვაძე,*
*გელა იორდანიშვილი*
*არქ.კომპანია „გილსი“*

თბილისს, შეემატა კიდევ ერთი რესტორანი მდიდარი ინტერიერით. ოვალი - რაგბის ბურთის ფორმა, რესტორნის სახელწოდებაც აქედან მოდის.

არა მარტო სახელწოდება, ეს რესტორანი რაგბისტების საყვარელი ადგილია, ათ უზარმაზარ ტელევიზორში, 24 საათი მიმდინარეობს რაგბის მატჩები და საინტერესო ინფორმაციები ამ თამაშის შესახებ.

რესტორანში “ოვალი” ორი დარბაზია, შუაში ორმხრივი დიდი ბარია, პირველი დარბაზი მოიცავს სუფრის ინვენტარით გაწყობილ ხის მაგიდებსა და სკამებს. აქვეა ამერიკული სტეიკის მოსამზადებელი სპეციალური მოწყობილობა.

მეორე დარბაზი პირველს გადმოჰყურებს. რბილი დივან-სავარძლები, წყნარი განათება, რაგბის და ფეხბურთის კორიფეების ფოტოები, იდეალურ გარემოს ქმნის დასასვენებლად.

„ოვალის“ გარემო სასიამოვნო მოულოდნელობებზეა აგებული. სივრცეში, ორიგინალური კომპოზიციების, ნივთების, ნაკეთობების, აქსესუარების გადანაწილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე საინტერესო თემებითაა სავსე და მის ორგანიზებაში, სწორედ ეს გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. ამდაგვარი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში „რეტრო ჩართვებს“ განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის. სალონში, საზოგადოებრივი ცხოვრების რამოდენიმე დომინანტი ნიუანსისადმია კონცენტრირებული, თუმცა არალოკალურად. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი, შექმნილი ექსპოზიციის ფონზე აღიქვამს, რომ დღეს, საზოგადოებრივი ინტერიერის ესთეტიკა საჭიროებს არა მხოლოდ თანამედროვე ფორმებსა და საგნებს, ის აუცილებლად ეყრდნობა სახასიათო ნიუანსებს, ცალკეულ ასოციაციებს, რაც მთელი სივრცის თვითმყოფადობის გამოსავლენადაა აუცილებელი.

ნინო ლაღიძე















# The Oval

*American Restaurant*
*6.Rkinis Rigi St. Tbilisi*
*Designed by Architects Levan Salukvadze. Gela Iordanishvili.*
*Architectural Company "Gils"*

One more restaurant is opened in Tbilisi with rich interior.

The Oval-the shape of rugby ball- where the name of the restaurant comes from. Favorite place for rugby fans. There are ten huge TV-sets in here, where you can watch rugby and other interesting information about the games for 24 hours.

There are 2 halls, one big bar . There are wood tables and chairs in the first hall. There is the special equipment for preparing American steaks.

Soft armchairs in the second hall, dim light, photos of leading figures of Rugby and Football-make the ideal atmosphere for relaxing. The restaurant "The Oval" is always at your disposal.

Oval's Original compositions, articles and accessories are distributed within the space in accordance with definite rules, by large defining the general character of the atmosphere. The interior is filled with an array of interesting themes, and this is the key creative principle underlying its design. Such an approach allows for introduction of retro elements into the modern stylistics. The public activity within the interior is focused on several dominants, though in a non-localized manner. The visitors, looking at this improvised exposition of decorative articles, are sure to feel that the aesthetics of modern public interiors should be based not only on modern-style forms and objects, but also on the characteristic touches and associations with the past, indispensable for highlighting individuality of the space.

NINO LAGHIDZE













# „ფართი კლუბი" - ბამბის რიგში



წარმოგიდგენთ დიზაინერ ნათია კარიაულის პროექტით, თბილისის ისტორიულ ბამბის რიგში ახლახანს განხორციელებული გასართობი კლუბ-რესტორნის - Two side party club ინტერიერს. ეკლექტიკურ გარემოში ფუნქციურად ორგანიზებული, ულამაზესი დიზაინის მრავალფეროვნება, სრულყოფილი ფორმების უმაღლესი ხარისხი, გასაზღვრულ და დამაჯერებელ ორგანიზმში ერთმანეთთანაა შერწყმული. განათება, ფერი, აქსესუარები, პროპორციები, მოძრავი გრაფიკა - მათი ერთობლიობით წარმოქმნილი არაორდინალური სივრცეები, ყოველ მოცემულ შემთხვევაში ტექნოლოგიური სიახლეების საშუალებებით გამოგონილ სტრუქტურაზე გაცილებით მნიშვნელოვანია.







ინტერიერის, პრაქტიკულად მშვიდ და რესპექტაბელურ გარემოში, სადაც დეტალების სიჭარბით ქაოსი არ იქმნება, ყოველი ელემენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სივრცე ერთ მთლიანობად აღიქმება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ თანამედროვე კლასიკური ფორმები და დახვეწილი ფერითი გამა დომინირებს. ზუსტად შერჩეული მოსაპირკეთებელი მასალა, ლამაზი ტექსტურა და თბილი ტონალობა, ფურნიტურა სივრცის წარმომადგენლობითობას არბილებს. მთავარი კი ის არის, რომ აქ, თითქმის ყოველთვის რთული დიალოგი ახლადშექმნილსა და არსებულს შორის წარმატებით შედგა.

ნინო ლალიძე




















# Party Club on the Bambis Rigi Street



This article refers to Two Side Party Club on the Bambis Rigi Street recently created by designer Natia Kariauli. In this eclectic space, diversity of functionally organized, highly refined and diverse design and utmost efficiency of forms are merged into a credibly integral space. Lighting, coloring, choice of accessories, proportions, flexible graphics – unordinary composition, formed by combination of these elements, is much more meaningful than an artificial high-tech structure would be in its place.

Quiet and respectable look of the interior, where there are no distracting details, allocates a special function to every detail. The space is perceived as an entity – not just because of classical forms and refined color solution. Carefully chosen finishing materials, textures and warm tonalities of the furniture accentuate the imposing character of the atmosphere. And the main point is that the complex dialogue between newly-created and existing elements in this interior has been quite successful.

NINO LAGHIDZE















# ძველი მეტეხი



სულ ცოტა ხნის წინ, თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, „სასტუმრო „ძველი მეტეხის“ განახლებულ, ამავე სახელწოდების სივრცეში, ბარ-რესტორანი „ძველი მეტეხი“ გაიხსნა. მისი ავტორები არქიტექტორები ლევან სალუქვაძე და გელა იორდანიშვილი არიან (არქ. კომპანია „გილსი“).

არსებული არასახარბიელო პროპორციების შეცვლა ავტორებმა საკუთარი პროფესიული ინტუიციის, არსებულ პირობებთან ადაპტირებით შეძლეს. ინტერიერის მთლიანობის შთაბეჭდილება ერთიანი კომპოზიციური გადაწყვეტით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით, ერთი სიბრტყიდან მეორეზე ფერის გადათამაშებით, მოცულობით-პლასტიკური გადაწყვეტებითაა მიღწეული. ყოველივე ეს „ძველ მეტეხის“ინტერიერს XIX საუკუნის განუმეორებელ კოლორიტს სძენს. მისი სადა და მდიდრული გარემო, მასში შემინული სიბრტყეებიდან შემოჭრილი ძველი თბილისის ხედი, საგანგებოდ შერჩეული აქსესუარები, მუსიკალური ფონი, - კიდევ ერთხელ გვაგონებს წინაპრების მიერ სათუთად შემონახულ სტუმარმასპინძლობის წმინდა ადათს.

„ძველი მეტეხი“ გვხიბლავს ტრადიციებითა და თანამედროვე სტილის შერწყმით., რომელიც რესტორნის ისედაც კოლორიტულ ატმოსფეროს კიდევ უფრო მიმზიდველსა და მყუდროს ხდის.

მიუხედავად სტილისტიკური მთლიანობისა, სივრცის ყოველი მონაკვეთის ინდივიდუალურობა შენარჩუნებულია. დეკორის ფერისა და ფაქტურის მონაცვლეობა, მათზე მხედველობის კონცენტრირებას ახდენს. ხელოვნური განათების სხვადასხვა ინტენსივობა კი ხაზს უსვამს ფორმისა და ფერის სიღრმეს.

„ძველი მეტეხი“ - ეს არის ადგილი, რომელიც სრულად ამართლებს თავის სახელს: აქ თქვენ აუცილებლად შეიგრძნობთ საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის საუცხოოდ შერწყმის უნიკალურობას.

ნინო ლალიძე

















# Old Metekhi



Not long ago bar-restaurant Old Metekhi was opened in old Tbilisi, in a recently redecorated Old Metekhi Hotel.

Authors of this project are architects Levan Salukvadze and Gela Iordanishvili (architectural company Gils).

While designing the interior of Old Metekhi bar-restaurant, the authors skillfully adapted initial uncomfortable proportions of the space to the new requirements. Impression of integrity in this interior is achieved due to a holistic compositional and volumetric solution, subtle zone-to-zone décor transitions and ingenious variation of colors. All these expressive means successfully flavor the interior with unique 19th century feel. Uncomplicated and elegant style of the bar, fine views of old Tbilisi, spreading outside lavishly glazed windows, carefully selected accessories and exclusive musical background once again remind us the great tradition of Georgian hospitality, lovingly preserved by our ancestors. Old Metekhi charms us with the unique mixture of traditional and modern styles, which makes characteristic atmosphere of the place still more attractive and comfortable.

In spite of stylistic integrity, any section of this interior retains its individuality. Changeability of textures and colors helps focus attention on particular dominant points, and varying intensity of artificial lighting highlights the depth of colors and forms.

Old Metekhi lives up to its name – this bar really offers you a rare opportunity to return to the past and share unique Georgian traditions.

NINO LAGHIDZE







# ტაილანდური სახლი

6 ივნისს, თბილისში, ლაღიძის ქუჩაზე მყუდრო ტაილანდური რესტორნის THAIHOUSE-ს გახსნის პრეზენტაცია შედგა. მისი ინტერიერი მხატვრულად დიზაინერმა ინა ბახტაძემ გააფორმა.

ავტორმა, თემატური სცენარით შინაარსობლივად ღრმა და შთამბეჭდავი კომპოზიცია შექმნა, სადაც სივრცის მთლიანობას მოდულური ელემენტების ერთობლიობა ქმნის.

ინტერიერში დროის ვიზუალური სტილისტიკისა და კულტურულ-მხატვრული ენის ელემენტებია შეტანილი. აქ, დეკორაციები, შემოქმედებითად ძალზე მხატვრული, ახლობელი და განსაკუთრებულად თბილია. თვითმყოფადობის ატმოსფეროს სხვადასხვა საგანი, აქსესუარი და ტონალობათა არეალი განსაზღვრავს. ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. შედიხარ ამ სამყაროში და სურვილისამებრ ირჩევ შენთვის სასურველ მონაკვეთს.

ინტერიერის გეგმარება ისეა გადაწყვეტილი, რომ მის პრეზენტაციულ სივრცეში რესტორნის სამზარეულო იხსნება და სტუმარს საშუალება ეძლევა თვალყური ადევნოს ტაილანდელი მზარეულის ვირტუოზულ მოძრაობებს ეგზოტიკური კერძების მომზადებისას.

დიზაინერის მიერ გათვლილია ყოველი თითქოს შემთხვევითი დეტალი და ნიუანსი. ფორმით, ფერით, და ინფორმაციით დატვირთული დეკორაციები ჰარმონიულია სივრცით გადაწყვეტასთან, რომელიც მხატვრული ავანგარდითა და ინტელექტუალური აურითაა გაჟღენთილი. ინა ბახტაძის მიერ, ამჯერად წარმოდგენილი შემოქმედებითი ფრაგმენტი, კიდევ ერთხელ, პროფესიონალიზმის მაღალი გამოვლინებაა.

ნინო ლაღიძე



















THAIHOUSE







The restaurant THAIHOUSE is located in a beautiful district of Tbilisi, in Laghidze Street. Interior of the restaurant and decorative fencing, designed by designer Ina Bakhtadze.

Designer created a thematic composition with deep content, integrating a multitude of modular elements.

The interior is based on visual stylistics as well as certain cultural and artistic implications. The design overall is highly creative and appealing. Originality of the atmosphere is highlighted by coloring effects and an array of carefully positioned decorative articles and accessories. The diversity of this little world has a surprising power of making everyone feel perfectly at home.

The author has carefully considered every seemingly accidental detail. Decorations with their meaningful form, color and connotation are in full harmony with space planning, saturated with an aura of artistic vanguard and intellect. You will agree that by this work Ina Bakhtadze has once more expressed She high professionalism.

NINO LAGHIDZE











# კრომბახერის დეკორატიული პანო

არქიტექტორ დიმიტრი თოფურიძის პროექტით გუდაურში სპორტ-კომპლექსი აშენდა. ამჟამად ობიექტზე დამამთავრებელი სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცალა კომპლექსის შემადგენელი ცალკეული მოცულობა უკვე დასრულებულია.

წარმოგიდგენთ, სპორტ-კომპლექსის საცხოვრებელი ბლოკის რესტორნის - „კრომბახერის“ ინტერიერს. იგი შემინული დიდი სიბრტყეებით გარე სამყაროსთან აბსოლუტურ სინქრონში მოდის. სივრცის არქიტექტონიკა დახვეწილია და მის აღქმას კომპოზიციისა და პირობითობის სხვადასხვა ხარისხის თანაარსებობა ამძაფრებს. დადებითი „ეკოლოგია“ აქ, მოხვედრისთანავე შეიგრძნობა.

ავტორმა საკუთარი პროფესიული ინტუიციის არსებულ პირობებთან ადაპტირებით სახასიათო გარემო შექმნა. ინტერიერის მთლიანობის შთაბეჭდილება ერთიანი კომპოზიციური გადაწყვეტით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით ერთი სიბრტყიდან მეორეზე ფერის გადათამაშებით, მოცულობით-პლასტიკური გადაწ-









ყვეტებით, ხაზებისა და ფიგურების დიალოგებითა და დიზაინერული რეფრენებითაა მიღწეული. დიზაინის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს მასში ბუნებრივი, ადგილობრივი მასალის (ხე, ქვა) მნიშვნელოვანწილად გამოყენება.

მიუხედავად სტილისტიკური მთლიანობისა, სივრცის ყოველი მონაკვეთის ინდივიდუალურობა შენარჩუნებულია. დეკორის ფერისა და ფაქტურის მონაცვლეობა, მათზე მხედველობის კონცენტრირებას ახდენს. განათების სხვადასხვა ინტენსივობა კი ხაზს უსვამს ფორმისა და ფერის სიღრმეს.

პროფესიონალიზმი ყოველთვის დეტალებში გამოვლინდება. მოცემულ გარემოში იგი იგრძნობა ყველგან - მასალის ფაქტურაში, აქსესუარებში, ავტორის ჩანაფიქრის საბოლოოდ სრულყოფისათვის შერჩეულ ნიუანსებში, რომელთა ალიანსით, სივრცე ჰარმონიულ მთლიანობად - საინტერესო, ვრცელ დეკორატიულ პანოდ გარდაიქმნა.

ნინო ლალიძე





# Decorative Panneau at Krombacher






New sports complex built in Gudauri according to the project by architect Dimitri Topuridze will soon be open to the public.

In this article we would like to focus on the interior of Krombacher restaurant, functioning in the residential part of the complex. The place is fully synchronized with the environment due to large glazed windows. Architectonics of the space is refined and its perception is intensified by varying degrees of combination between composition and conventionality. You can feel the positive ecology of the place at the very first step.

By adapting his professional intuition to the existing conditions the author succeeded in creating a characteristic environment. The impression of integrity in the interior is achieved due to a consistent compositional solution, subtle variety of decorations with skillfully placed highlights and colors changing from one surface to the other, dialogues of lines and figures and design refrains. Key component of the design is prevalent use of local natural materials (wood, stone) in decoration.

In spite of stylistic integrity, every part of this interior retains individual features. Diversity of decoration colors and textures draws attention and varying intensity of lighting highlights the depth of form and color.

Professionalism is always manifested in attention to detail. In this particular interior this can be felt everywhere – in the choice of textures and accessories, in the little details highlighting the author's ideas, the confluence of which makes this space a harmonious integrity – an interesting, vast decorative panneau.

NINO LAGHIDZE





# ტყუპები ზღვასთან

ნებისმიერი არქიტექტურული ობიექტის ორგანულად არსებობა გარემოსთან კონტექსტში, უმთავრესი ამოცანაა, რომელიც არქიტექტორის წინაშე დგას. მოცემულ შემთხვევაში, „ტყუპებისთვის“ განკუთვნილი ადგილი და ზღვის ხედი - ათვლის წერტილად იქცა შემოქმედებითი ძიებისას. არქიტექტორმა ემა ომანაძემ ტერიტორიის პლიუსები, მისთვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმით გარდაქმნა და მაქსიმალურად გადაათამაშა ზღვასთან სიახლოვის უპირატესობები.

ბათუმში განხორციელებული ამ პროექტის მთავარი გმირი ზღვაა, ძირითადი პრინციპი - სასიამოვნო მოულოდნელობა. კაფე-ბარი TWINS-ის ტყუპისცალები ისე იქნენ „დასმული“, რომ დიალოგში შესულიყვნენ გარემოსთან. იდენტურ მოცულობათა წაგრძელებული მობილური ფორმები, თითქოს გამჭვირვალე გემებივით ლივლივებენ. მათი ინტერიერული სივრცეები სამ დონეზეა გადანაწილებული. პირველ დონეზე მოხვედრისას ზღვა ნაწილობრივ თვალს ეფარება. ამის გამო, ადამიანი ერთბაშად ვერ შედის მასთან კონტაქტში და მხოლოდ მაშინ, როცა შუშით შემინულ მეორე და მესამე დონეებზე ხვეული კიბით ხვდებით, უცბად იშლება არაჩვეულებრივი პანორამა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს შთაბეჭდილებას.

შენობისა და მასების ერთობლიობა სანაპიროსეული პეიჟაზის ერთგვარი გაგრძელებაა.

TWINS, ორი, მხატვრული თვალსაზრისით ტოლფასი „ფასადი“ აქვს. ფასადები, პარკის მხრიდან, კომპოზიციურად რადიკალურად განსხვავდება ზღვისკენ მიმართული გამჭვირვალე მასებისგან, რაც მათ გამომხატველობას დინამიურობას მატებს.

ღია ტერასების სისტემები, რომლებიც ირგვლივ, მთელ სივრცეზე იხსნება, ორიგინალური მოცულობით-სივრცობრივი ორგანიზაციით გამოირჩევა - ყოველ მათგანზე შესაძლებელია გარე თუ შიდა დამოუკიდებელი ასასვლელებით მოხვედარა. აქ, ზღვა „ტყუპებისთვის“ განუყოფელი ხდება და ძნელია იპოვო ადგილი, საიდანაც იგი არ ჩანს.

მოცულობები გარემოსთან კონტექსტში, აბსოლუტურად ჰარმონიულია. მათი ლაკონური არქიტექტურა ერწყმის ლანდშაფტს და ქალაქის ცენტრში მგდარი საზოგადოებრივი ობიექტის ყველა ფუნქციურ მოთხოვნას პასუხობს.

ნინო ლაღიძე





# Seaside Twins

Seamless integration of an architectural object with its surroundings is a key goal for any architect. In this particular case, the role of a “starting point” in the project was allocated to the seashore location of the site where the “Twins” were supposed to be built. Architect Emma Omanadze skillfully adapted her design to the existing conditions and maximally used the proximity of seashore to her advantage.

Leading role in this Batumi-based project belongs to the sea, and key principle of the design is unexpectedness. The constituent parts of café-bar “Twins” have been positioned so as to organically merge with their environment. Several identical elongated volumes seem to float upon the waves like luminescent boats. Interior spaces are spread out on three levels with a ladder structure providing increasing level of access to the seascape. Café facades facing the park compositionally differ from the transparent “seaward” masses, adding a further doze of dynamics and emotion to the design.

The complex is girdled with several originally planned open terraces, each independently accessible from inside and outside the café. The sea is so naturally merged with the buildings, that it is hard to find a point from which it would not be visible.

Architectural masses of the café are in absolute harmony with their surroundings. Their reserved but elegant design integrates them with the landscape, at the same time satisfying all the functional demands relevant to a public place located in city center.

NINO LAGHIDZE







# კომფორტი სიმყუდროვეში

# Comfort in Coziness



საცხოვრებელი ინტერიერის თანამედროვე გარემო არ არის მხოლოდ კომფორტული. იგი, განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვით და გამომხატველობით გამოირჩევა და ტრანსფორმირდება რეალობაში.

ინტერიერი, არქიტექტორ კახა დეკანოიძის პროექტით შეიქმნა. მისი მოქნილი გეგმარება, დახვეწილი, დინამიური ფორმები, ფურნიტურითა და ლამაზი საგნებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი თავისებურად შთამბეჭდავია, რადგან მხოლოდ ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება.

დიზაინში, დეტალები არაორდინალური ნიუანსებით გამოირჩევა და მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. „მსუბუქ“ ერთიანობაში საერთო ფერითი გამა დეკორატიული აქსესუარების ტონებითაა აქცენტირებული.

ნინო ლაღიძე





The modern style of a residential interior is more than just comfortable. The place is cozy in a special way, transforming into the reality according to its own artistic laws.

The interior was designed by architect Kakha Dekanoidze. Its flexible planning, refined and dynamic exterior forms and original interior, filled with beautiful furniture and accessories, convey some unique charm.

Design details possess special expressivity, which increases the general originality of design. The space feels integral in spite of being divided by visible or invisible barriers; general color palette of the interior is accentuated by contrasting tones of accessories. It is very easy to imagine how pleasant day-to-day life in this house would be.

NINO LAGHIDZE

# საცხოვრებელი სივრცის რეალიზაცია





ავტორი: "დიზაინ ბიურო".
დიზაინერები -
ნია მგალობლიშვილი,
ია ლიპარტელიანი,
სოფიო შევარდნაძე

მოგეხსენებათ, ინტერიერზე მუშაობისას, იდეის განხორციელების პროცესში, შედეგი, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც განსხვავდება საწყისი ჩანაფიქრისაგან, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში დიზაინერების მიერ შექმნილი რენდერული ვარიანტების იდენტური საცხოვრებელი სივრცის რეალიზაცია შედგა - მაქსიმალურად გამოვლინდა ავტორთა გემოვნება და პროფესიონალიზმი.

საცხოვრებლის ინტერიერის ჩამოყალიბება-გაფორმების ძირითადი იდეა, ფუნქციურად სხვადასხვა ზონების ეფექტურ გადანაწილებაში მდგომარეობს. თავისი გამომხატველობით თვითმყოფადი, დამოუკიდებელი სათავსოები საცხოვრებელი მთლიანობის კომფორტს, სიმყუდროვეს განაპირობებს. აქ მოხვედრისას, სტუმარს მასპინძლებთან საკუთარი „მერკანტილური“ საკითხების გარკვევამდე, ამაღლებული, თბილი განწყობა ეუფლება, რაც კვლავ აქ მოსვლის სურვილს ბადებს.

ინტერიერში თითოეულ ნიუანსს ის ადგილი აქვს მიჩენილი, საიდანაც იგი საუკეთესო სახით ალიქმება. ფორმასთან, ფაქტურასთან, ფერთან დამოკიდებულება, დიზაინერთა შემოქმედებით პრინციპებს გამოავლენს და არაორდინალურია. მთლიანობაში, კი ავტორთა ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნას საცხოვრებელი გარემო - მშვიდი, ესთეტიკური ყოფისა და მაღალი კომფორტის გარანტი.

ნინო ლალიძე

ფოტო: ირაკლი ბლუიშვილი

















# Living Space for a Particular Family

*Author: Design Bureau.*
*Designers: Nia Mgaloblishvili, Ia Iiparteliani, Sophio Shevardnadze*

Realization stage of interior design often yields certain deviations from the initial sketches. However in this particular case the interior created by designers Nia Mgaloblishvili, Ia Iiparteliani, Sophio Shevardnadze, is absolutely identical to its render version, revealing the author's professionalism at its best.

The key highlight of this residential interior is efficient development of design theme from zone to zone. The spaces with their original architectonics integrate into an utterly comfortable living environment. A visitor entering this apartment perceives its positive, pacifying atmosphere from the very first step and feels an urge to visit the place again and again.

Every detail in the interior is positioned so as to stand out with most efficiency. Approach toward shapes, textures and colours clearly expresses the designer's artistic principles and perfect taste. On the whole, the author's interesting and original solutions aim to achieve one and only goal – to create a living environment, guaranteeing comfortable and tasteful life.

NINO LAGHIDZE
PHOTOS BY IRAKLI BLUISHVILI











# უზადო დიზაინი





საცხოვრებელი სივრცის სწორად ორგანიზება, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, ინტერიერის საერთო სტილისტური გადაწყვეტის შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული აქსესუარები - თითოეულ მოცემულ ამოცანას, ორიგინალური იდეებითა და მათი წარმატებულად განხორციელებით, დიზაინერი წყვეტს. უზადო დიზაინი გულისხმობს საერთო თემით გამთლიანებული ჰარმონიული ინტერიერული სახის შექმნას, რომელშიც გათვლილია ყოველი ნიუანსი და მაქსიმალურადაა გათვალისწინებული დამკვეთის „ტაბუდადებული“ მოთხოვნები. არქიტექტორ დავით ხურცილავას პროექტით, „აქსისის“ ერთ-ერთ მრავალსართულიან სახლში, საცხოვრებელი ინტერიერი განხორციელდება. პროექტიდან ნათლად ჩანს, რომ ინტერიერი დახვეწილი დეკორით გამოირჩევა, სივრცის ფუნქციური ზონირება დეტალებამდეა გათვლილი, რაც, შესაბამისად კომფორტულ და მყუდრო საცხოვრებელი გარემოს შექმნის.

ნინო ლაღიძე



# Flawless Design

Organization of residential space, choice of colors and construction materials, planning of lighting systems, matching of furniture to interior style, selection of accessories – all of these issues should be solved by a designer – an expert capable of offering original ideas and implementing them on a professional level. Flawless design means creation of a harmonious interior space integrated by a general stylistic theme, with all the details carefully considered and the client's demands and "taboos" duly taken into account.

Interior design project developed by architect David Khurtsilava for an apartment located in one of Axis high-rises is a perfect sample of successful design with refined style and efficient functional planning. Even at this early stage David Khurtsilava's design shows all the comfort and elegance with which the interior will be saturated when it is realized.

NINO LAGHIDZE









# სახლი - ადამიანთა სულიერი სამყაროს მატარებელი

ჟურნალი „სტილის“ 26-ე ნომერში ილუსტრირებული სტატია სათაურით „ფორმისა და ფერის ალიანსი“ დეკლარირებდა არქიტექტორ დავით ხურცილავას პროექტით განხორციელებულ საცხოვრებელ ინტერიერს.

გემოვნება, შემოქმედი ადამიანის თანდაყოლილი ნიჭი და თვისებაა. იგი ნიუანსებში ვლინდება და ყოველთვის ადეკვატურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ოჯახმა, არაორდინალური გემოვნებით შექმნილ ინტერიერში, რამდენიმე ხნის წინ, საკუთარი ფანტაზიები პროფესიონალის რჩევების გათვალისწინებით განახორციელა და ულამაზეს ნავსაყუდელში დაიდო ბინა. სახლი ადამიანებით „გაცოცხლდა“, თუმცა მათი აქ ცხოვრების პერიოდში, არქიტექტორი დიზაინის დახვეწას „განაგრძობდა“. ინტერიერში ატმოსფერო, მნიშვნელოვანი თუ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებით თანდათან გამრავალფეროვნდა, რამაც ოჯახის წევრთა თუ მნახველთა განწყობაც შესაბამისად წარმართა. ავტორის ძალისხმევით საცხოვრებელი გარემო თანდათან იმ განზომილებაში გადაიყვანა, სადაც მასში მცხოვრებთა ხასიათი, საქმიანობა და აზრები სახლის კედლებს, მის დეკორს შეერწყა. აქ ყოველივე მათი და ავტორის შინაგანი სამყაროს მატარებელია, ამასთან ერთად საცხოვრებელში სიმყუდროვის იშვიათი შეგრძნებაა გამეფებული.

ნინო ლალიძე
ფოტო: ნინი ალავიძე









# House as reflection of spiritual world

Illustrated article titled "Alliance of Form and Color", published in the 26th issue of Style Magazine narrated about a residential interior designed by architect David Khurtsilava.

The family, living in this extraordinarily tasteful environment, decided to "flavor" it with its own fantasies and invited the architect to assist them in this initiative. Every family member contributed to the project, first settling into the living space created for them and then enriching and diversifying it with individual details, seemingly unimportant but capable of affecting the everyday life of their house. The architect directed this process so as to maximally reflect the character, activity and ideas of apartment dwellers in the design of its interior. Every article in this living space expresses the inner world of its inhabitants, adding a surprising degree of comfort to the emotional atmosphere of the house.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY NINI ALAVIDZE











# კომფორტი და სიმყუდროვე სილამაზეში

წარმოდგენილი საცხოვრებელი ინტერიერის სკულპტურულობა და მასში გადანაწილებულ ფორმათა სიმბოლიკა, ავტორების - ზურაბ და დავით ნიკოლაიშვილების შემოქმედებით კონცეფციას დაკონკრეტებისა და განმარტების გარეშე ავლენს. მოცემულ სივრცეში დიზაინერთა მიერ შექმნილი კომპოზიციები მასისა და სივრცის ურთიერთობით ხასიათდება - ფორმაწარმომქმნელი საწყისი თვითმყოფადი დინამიური მასებია, სივრცე კი კომპოზიციურად ექვემდებარება მას. ავტორები უმთავრეს ადგილს მოცულობათა პლასტიკურ სახესხვაობას, ადამიანისათვის განსაზღვრული, ემოციურად დატვირთული, ორგანული საცხოვრებელი გარემოს შექმნას უთმობენ. სტილისტურ ერთიანობაში შიდა სივრცეთა ურთიერთქმედების სპეციფიკის ღრმად წვდომა, კომპოზიციური პალიტრის სიმდიდრის გახსნისა და გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

საცხოვრებელში, აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი, მისი ინტერიერის დიზაინი, მის ბინადართა გემოვნების, სოციალური მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.

ნინო ლალიძე











# Comfort and Elegance

Sculptural clarity and symbolism of the interior design we are describing in this article manifests the creative principles of its authors – Zurab and David Nikolaishvili without any need to explain and comment. Compositions created by the designers in this interior feature the unique degree of interaction between mass and space – independent dynamic masses act as a source of formation and the whole design is compositionally subjected to this key feature. The authors pay crucial attention to the flexibility of volumes and features allowing to turn the living environment emotional and natural. Within the stylistic integrity, perfect understanding of interaction between the inner spaces enables to fully exploit the richness of compositional palette. The design of this residential interior, together with its indispensably comfortable and homely atmosphere, practically reflects the taste and social standing of its dwellers.

NINO LAGHIDZE





















# თბილისური კოსმოპოლიტური საცხოვრებელი

თბილისის ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში განთავსებული, აქ წარმოდგენილი რეკონსტრუირებული ბინის ინტერიერის თავდაპირველი სახე, მისი მფლობელის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს არ შეესაბამებოდა და მას სურვილი გაუჩნდა კარდინალურად შეეცვალა ინტერიერი. იდეის განსახორციელებლად მან პროფესიონალებს მიმართა, რომელთა ძალისხმევით უსისტემოდ ამოყვანილი კედლები ლამაზ საცხოვრებლად იქცა.

პროექტის ავტორები:
ინტერიერის რეკონსტრუქცია - არქიტექტორი გურამ კოშკელია;
ინტერიერის დიზაინი: არქიტექტორები - გრანტ მარქაროვი, ილია გავრილიადი.











საცხოვრებლის დახურული და ღია მოცულობებისათვის დამახასიათებელი მოძრაობა ცოცხალი და რითმულია და მოვლენის ტრადიციულად გააზრებაზე უფრო მეტის მომცველია. აქ წონასწორობაა სიმშვიდესა და დინამიკას შორის და უფრო მეტია თავისუფალი ტიპის შემოქმედების შედეგი, რაც გარკვეული დაკვირვებისას ვლინდება. კონსტრუქციული ელემენტების პროპორციები თავისუფალია. მას საფუძვლად ესთეტიკური კრიტერიუმები უდევს. ინტერიერში გეგმარება, დიზაინი, ზღუდარებით შექმნილი სივრცითი კომპოზიციები, ექსკლუზიური ფურნიტურა ფუნქციონალურ-ესთეტიკური ხასიათის მატარებელია და მათ თვითმყოფადობას განსაზღვრავს. განყენებულ ფორმებში ნაგრძნობი სივრცე, განუსაზღვრელ მრავალფეროვნებას იძლევა.

საცხოვრებელი ვრცელია, ნათელია, მასშტაბურია და მნახველს ინტერესითა და სიმპატიით განაწყობს.

არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტაში ორი მნიშვნელოვანი პრინციპია გატარებული - ერთის მხრივ, ინტერიერი აბსოლუტურად თანამედროვეა, კოსმოპოლიტურია. მეორეს მხრივ იგი ძალზე „ადგილობრივია“ და ზუსტად პასუხობს ჩვენს ყოფითობას. გონივრულად შერჩეული ნატურალური მასალა, აქსესუარები თუ თითოეული ნიუანსი საცხოვრებელს კომფორტულ, დასამახსოვრებელ, სუფთა, ეკოლოგიურ გარემოდ გარდაქმნის.

ნინო ლალიძე
ფოტო: ალექსანდრე მამულოვი,
ბორის მარქაროვი





# Cosmopolitan Apartment in Tbilisi

*Owner of an apartment in one of Tbilisi residential blocks decided to thoroughly redecorate it in accordance with his aesthetic requirements. With the help of professional designers, dull standard flat got transformed into a comfortable modern apartment.*

*Project authors:*
*Interior reconstruction – architect Guram Koshkelia*
*Interior design – architects Grant Markarov, Ilia Gavriliadi*

The illusion of motion, distinguishing open and closed spaces of the apartment, makes the interior feel live and rhythmical. In this apartment, serenity and dynamics are balanced and subjected to unrestricted creative power. Proportions of constructional elements are uninhibited, but conforming to aesthetic criteria; planning and design of the interior, spatial compositions created with the help of partitions, exclusive furniture – all of this is as much functional as elegant. Space expressed in terms of abstract forms provides boundless diversity.

Architectural and planning solution of the interior had been based on two important requirements – one was to the interior is absolutely modern and cosmopolitan, while the other to retain its "local" character and match it to the inhabitants' daily life style.

Wisely selected natural construction materials, accessories and minor details turn the apartment into a memorable, comfortable and clean living environment.

NINO LAGHIDZE
PHOTOS BY ALEXANDER MAMULOV AND BORIS MARKAROV











# სივრცეთა სახესხვაობა







საცხოვრებელი ინტერიერი. თბილისი. ყაზბეგის გამზირთან
RESIDENTIAL INTERIOR; TBILISI, NEAR KAZBEGI AVENUE

ქალაქის სხვადასხვა უბნებში არქიტექტორ ალეკო კორკოტაშვილის პროექტებით განხორციელებული საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი სივრცეები საინტერესო არაორდინალური დიზაინის სახესხვაობაა. ყოველ მოცემულ შემთხვევაში, მოცულობითი კომპოზიციები მასისა და სივრცის ორიგინალური ურთიერთობით ხასიათდება. ფორმაწარმომქმნელ საწყისს სკულპტურული, ცოცხალი მასა წარმოადგენს, სივრცე კი კომპოზიციურად ექვემდებარება მას. ადამიანისათვის განსაზღვრული, ემოციურად დატვირთული გარემოს შექმნა ფორმების სახესხვაობას უთმობს უმთავრეს ადგილს. ინტერიერებში თანამედროვე თუ ტრადიციული არქიტექტურული დეკორის ყოველი ფრაგმენტი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. ელეგანტურობა ნატიფ ნიუანსებშია განსხეულებული. დიზაინის სახე დეკორის მოტივებით, მოცულობითი და პლასტიკური გადაწყვეტებით, რითმებით იქმნება. თითოეულ ფრაგმენტში ახლის, თანამედროვეობის სულიერება შეიგრძნობა და ერთიანი სივრცის განსაკუთრებული, მყუდრო ატმოსფერო სასიამოვნო ურთიერთობებისთვის განგვაწყობს.

ალეკო კორკოტაშვილი ღრმად წვდება რეალიზმს და სიღრმისეულად აღიქვამს სამყაროს სულიერ დიალექტიკას. ამის დასტური წარმოდგენილი მეტყველი ფრაგმენტებია. ავტორის შემოქმედებითი მანერა მოცულობითი არქიტექტონიკის გადაწყვეტისას ლაკონურია, მაგრამ განსაკუთრებული ესთეტიკითაა გაჟღენთილი. ეს კი თითოეულ ნამუშევარს განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს და მნახველში სრულიად განსხვავებულ შეგრძნებებს იწვევს.

ნინო ლალიძე


საცხოვრებელი ინტერიერი. თბილისი. ყაზბეგის გამზირთან
RESIDENTIAL INTERIOR; TBILISI, NEAR KAZBEGI AVENUE


საცხოვრებელი ინტერიერი. თბილისი. სპორტის სასახლესთან
RESIDENTIAL INTERIOR; TBILISI, NEAR THE SPORTS PALACE


საზოგადოებრივი ინტერიერი.
ქალთა კონსულტაცია. გლდანი-ნაძალადევის რაიონი
PUBLIC INTERIOR – WOMEN'S CONSULTING CENTRE;
TBILISI, GLDANI-NADZALADEVI DISTRICT




საცხოვრებელი ინტერიერი. თბილისი. კოსტავას ქუჩა
RESIDENTIAL INTERIOR; TBILISI, KOSTAVA STREET

# Diversity of Interior Spaces

Residential and public interiors realized in different districts of Tbilisi according to Aleko Korkotashvili's projects offer a wide variety of original and clearly individual designs. In each particular case, volumetric compositions feature unusual relationship between mass and space, one of which acts as a source of shape formation and the other - provides a milieu in which the sculptural quality of the former will stand out at its best. In creating emotionally colored, human friendly environment the architect attributes paramount importance to diversity. Each fragment of modern or traditional architectural décor present in Aleko Korkotashvili's interiors acquires considerable meaning. Elegance is embodied in refined nuances. Overall design solution represents a combination of infinitely diverse décor motives, volumetric or plastic solutions and rhythms. Each fragment is saturated with the spirituality of innovation, modernity, and the special, comfortable atmosphere of the integral spaces motivates us to be happy and share our happiness with others.

NINO LAGHIDZE


საზოგადოებრივი ინტერიერი. კომპიუტერული სამყარო. თბილისი.დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი.
PUBLIC INTERIOR – COMPUTER WORLD SHOP; TBILISI, DIDUBE-CHUGURETI DISTRICT





საცხოვრებელი ინტერიერი. თბილისი ჩიქოვანის ქუჩა
RESIDENTIAL INTERIOR; TBILISI, CHIKOVANI STREET





# შავკრიალა კერამიკა მხატვრულ-დეკორატიული ჩანართებით







თანამედროვე ქართულ კერამიკას, დამეთანხმებით, უძველესი ტრადიციები უდევს საფუძვლად და სწორედ ამ ტრადიციების შენარჩუნება, მისი წარსულის აწმყოსა და მომავლის აღდგენა-განვითარება დაისახეს მიზნათ შ.პ.ს „დურუჯი მინერალის“ მესვეურებმა - გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა ალექსი როზომაშვილმა და შ.პ.ს. „საქართველოს მხატვრის“ მენეჯერმა, ქალბატონმა მანანა არაბულმა.

ქალბატონმა მანანამ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის კერამიკის განყოფილება, იგი მრავალი საერთაშორისო გამოფენის მონაწილე და ნომინანტია. მისი ნამუშევრები ინახება საქართველოს მხატვართა კავშირის მუზეუმში, თანამედროვე ხელოვნების ცენტრში, თბილისის, ბრაზილიის, ავსტრიის, არგენტინის, იტალიის ესპანეთის, გერმანიის, ინგლისის, ჰოლანდიის კერძო კოლექციებში.

„დურუჯი მინერალის“ ძირითადი და მთავარი მამოძრავებელი მიზანია - ქართული ტრადიციული შავკრიალა კერამიკის დაცვა-აღორძინება, თანამედროვე მხატვრული და სამშენებლო კერამიკის განვითარება-პოპულარიზაცია.







მათ, შ.პ.ს. „საქართველოს მხატვრთან“ ერთად შეიმუშავეს ერთობლივი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს, მდინარე დურუჯის ინერტული მასალების დიდი რაოდენობით გამოყენებას, რაც თავის მხრივ, სასიკეთოდ წაადგება, როგორც ეკოლოგიური პრობლემების ნაწილობრივ მოგვარებას, ასევე დღესდღეობით ძალზედ მნიშვნელოვან ტრადიციულ შავკრიალა კერამიკის აღორძინებას. ნედლეულზე ჩატარებული სათანადო გამოკვლევები გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ეს არის უნიკალური თვისებების მქონე პროდუქტი, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. აღნიშნული ნედლეულისაგან შესაძლებელია, როგორც სამშენებლო ნაწარმის (აგური, კრამიტი, ბლოკი), ასევე დეკორატიული, მოსაპირკეთებელი, კერამიკული და ნატურალური ქვის ფილების დამზადება. სწორედ ამ მასალითაა შესრულებული, წარმოდგენილი ინდივიდუალური სახლის მოპირკეთება საგურამოში (პროექტის ავტორი, არქიტექტორი ნიკა გოგავა).



ქალბატონი მანანა ქმნის კერამიკის ულამაზეს ნაკეთობებს.. ხაზის, ფერისა და ფორმის სინთეზით მიიღწევა ის სულიერების ნატიფი სუნთქვა, რომლითაც ასე სავსეა კერამიკოსის ხელით შექმნილი ნაკეთობები. ნამუშევრები აზრის გარეშე ცარიელია - მათში ხელოვანის ნაფიქრი აგრძელებს ცხოვრებას და სწორედ ამიტომ შეუძლებელია ქართული კერამიკა ვერ განარჩიო ნებისმიერი სხვა ქვეყნის კერამიკისაგან - ფორმით, ფერითა და ორნამენტებით. ის ჭეშმარიტად ხელთქმნილია და ადამიანის სულის სითბოს ასხივებს.

წარმატებები ვუსურვოთ მათ ამ მეტად მნიშვნელოვან მამულიშვილურ საქმეში.

ლალი ბახტაძე





# Glossy Black Ceramics with Decorative Flavor





Modern Georgian ceramics takes its roots in ancient traditions, preservation, promotion and future development of which should be the goal of any local artist.

In this article, we would like to tell you about the activities of Duruji Mineral Ltd. (general director Mr. Alexi Rozomashvili) and Georgian Artist Ltd., represented by its manager Ms. Manana Arabuli.

Key driving principle of Duruji Mineral is preservation and restoration of traditional Georgian glossy black ceramics technique and development / promotion of modern artistic and construction ceramics. In cooperation with Georgian Artist Ltd., Duruji Mineral developed a project intended to support utilization of inert masses found in the bed of Duruji river, which will foster solving of environmental issues and importantly contribute to restoration of traditional glossy black ceramics technique. As a result of laboratory studies this product was found to have unique features, enabling production of construction materials (brick, tiles, blocks) as well as decorative articles, accessories and ceramic tiles. This very material was used for finishing works in a single-family house located in Saguramo village (project designed by architect Nika Gogava).

Manana Arabuli graduated from the ceramics department of design faculty of Tbilisi State Academy of Art; she is regular participant of international exhibitions and competitions and author of original works, stored at the Museum of Georgian Artists' Union, Modern Art Center and private collections in Georgia, Brazil, Austria, Argentina, Italy, Spain, Germany, UK and Holland.

Ceramics created by Manana Arabuli are original and beautiful. Synthesis of line, color and form helps her endow her designs with the delicate breath of spirituality, to share her innermost thoughts through art and make it live along with the unique coloring, shape and decoration, distinguishing traditional Georgian ceramics from its foreign counterparts.

Let us wish Duruji Mineral and Manana arabuli success in achieving their highly important goals.

LALI BAKHTADZE

















# სარკეში არეკლილი სამყარო



ალბათ ძნელად თუ მოიპოვება უფრო მეტად აუცილებელი და ფართოდ გამოყენებადი მასალა ინტერიერების გასაფორმებლად, ვიდრე სარკე.

მართლაც არ არსებობს სახლი, ბინა, ოფისი, სახელმწიფო დაწესებულება, სკოლა, საავადმყოფო ან საბავშვო ბაღი, სადაც არ არის სარკე, რომელიც, გარდა თავისი უტილიტარული დანიშნულებისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტერიერის დეკორის ხასიათის ჩამოყალიბებაში.

ადამიანები იძენენ სარკეებს, რათა ყოველი მხრიდან აღიქვან საკუთარი გამოსახულება ან გაალამაზონ ოთახი - დახვეწილი დიზაინერული ნივთით უფრო მყუდრო, ორიგინალური გახადონ იგი, თუმცა ორივე შემთხვევაში მისი შეძენისას არჩევანი, ალბათ ერთ-ერთ „სისუსტეზე“ უნდა შეჩერდეს.

მხატვარის, მშვენიერი აკა გოიაშვილის მიერ შექმნილი სარკეების ნახვისას თვალწინ გადამეშალა უაღრესად მრავალფეროვანი მასალა, რომელმაც ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა და შესაბამისად, ჟურნალის ღირსშესანიშნავ ნაწილსაც წარმოქმნის.

აკა გოიაშვილი 1994 წლიდან ქმნის სილამაზეს. მანამდე კი, 1985-1989წწ.-ში, მხატვრული გაფორმების სპეციალობით, ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ - 1989 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა და 1994 წელს დაამთავრა, იგი, მონუმენტურ - დეკორატიული ხელოვნების სპეციალობით.

აკას მიერ შექმნილი ნაკეთობები მეტად შთამბეჭდავი და თვითმყოფადია. სარკის ზედაპირებზე ფერისა თუ თემატიკის წარმოჩენა მოულოდნელია. მოულოდნელია თავად კომპოზიციები - მასალის მეტამორფოზის მშვენიერებაში სიძველის მრუმე მითები თუ ახალი ფორმები ინაკვთება. უმშვენიერესი, მხოლოდ ესთეტიკურობით არ შემოიფარგლება. იგი მრავალმხრივ რთული და უსაზღვროა და არ არის მარტივი ყოველივე გარდაქმნა მოაზრებულ მააერიად, მოძებნო იდეალური ფორმა, რომელიც შინაგან სულიერებას პასუხობს.

ამგვარი ნივთობრივი არაორდინალურობით შექმნილი მონაკვეთები საინტერესო სივრცეებს ქმნიან, რაც საერთო იდეითა და თემით გამთლიანებული ჰარმონიული ინტერიერული სახის შექმნას გულისხმობს..

აკა გოიაშვილის ნაკეთობები თვითმყოფადია, დახვეწილია, აბსოლუტურად განსხვავებული სტილისტიკით გამოირჩევა და კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს მასში არეკლილ სამყაროს.

ნინო ლაღიძე

ფოტო: აკა გოიაშვილი



# World Reflected in a Mirror



You would probably find it hard to name a more indispensable and universal interior decoration element than a mirror.

Indeed, it is impossible to imagine a house, apartment, office, state institution, school, hospital or a kindergarten without a mirror, which, alongside with its purely utilitarian function, plays an important role in defining the decorative image of the interior.

People buy mirrors in order to be able to see themselves better or to enhance their living space with a stroke of originality and comfort – though in both cases their choice is motivated by a certain point of attraction, making a particular mirror more appealing than others.

Mirrors created by artist Aka Goiashvili leave an indelible impression with their diversity and ability to transform the surrounding world.

Aka Goiashvili started her creative activities in 1994. Until then, in 1985-1989 she studied at the department of creative decoration of I. Nikoladze Art School and in 1989-1994 – continued her studies at the department of monumental-decorative art of Tbilisi State Academy of Art.

Objects created by Aka are impressive and original. Reflective surfaces of mirrors present colors and themes in an unexpected manner. The themes themselves are unexpected, turning reflections into dark myths or imaginary shapes. Artist's beautiful creative conceptions exceed aesthetic limits and enter a new plane of complexity and inner spirituality.

Works of art based on such approach add originality to any space and serve as dominant points in creation of harmonious and integral interiors.

Aka Goiashvili's unique and refined mirror designs make the surrounding world still more diverse and colorful.

NINO LAGHIDZE
PHOTOS BY AKA GOIASHVILI













# ფორმისა და ფერის ილუზიური თამაში

ნინი ჭანტურია, 16 წლის, სწავლობს სენტ-ეგზიუპერის სახელობის ქართულ-ფრანგულ კოლეჯში. ბავშვობიდან გატაცებულია ხატვით, სხვადასხვა დროს მუშაობდა თექაზე, ბატიკაზე, ღებულობდა მონაწილეობას სხვადასხვა საბავშვო გამოფენებში. ბოლო წლებია მუშაობს ფაიფურის ჭურჭლის მოხატვასა და ტიხრულ მინანქარზე. თავის პროფესიად არჩეული აქვს არქიტექტურა და ემზადება რათა გახდეს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი.











ნინი ჭანტურიას მიერ შექმნილ ულამაზეს ფორმებში, თავისებურად გამოვლენილი მეტად პლასტიკური და პოლიფონიური მანერა - ნატიფი და დახვეწილია. ნინის შემოქმედებითი პალიტრა მრავალფეროვანია და დრამატული მსახიობის დარად, ერთი ხაზიდან მეორეში არაორდინალურად განსხეულდება. პატარა მხატვრის ყოველი ნაკეთობის აღქმისას, ახალ, მოულოდნელ ნიუანსებს აღმოვაჩენთ და მის მიერ ბავშვურად მოწოდებულ პოეტურ ტალღაზე ვერთვებით. მისი აზრი, გრძნობა და შემოქმედი სული შერწყმულია სილამაზის განუწყვეტელი, დაჟინებული ძიების პროცესში.

ავტორის ფანტაზიით და გაქანებით ბუნება, მინანქრის ტიხრების ხვეულებში, ბატიკის ფერთა დინამიკაში თუ ორიგინალურ დეკორატიულ ნაკეთობებში ულამაზესი და განუმეორებელია. მოქნილობა, სირბილე და დენადობა პლასტიკური ფორმების რითმის განუწყვეტელ ცვალებადობას განაპირობებს. იდეები, მასალის ფაქტურის, ფერის, ფორმის ილუზიურ თამაშში რეალიზდება. ხელოვნება ხომ ილუზიაა და ნინიც სრულყოფილების ილუზიას ქმნის.

ნინო ლალიძე

# Illusory Game of Form and Color






*16-year-old Nini Chanturia is a student of Georgian-French Saint-Exupery College. She has been infatuated with art since childhood; at different times she engaged in wool art and silk painting and took part in different youth art exhibitions. It is already several years now that Nini switched her attention on porcelain ornaments and cloisonné enamel. She wishes to become an architect and gets ready to enter the architectural faculty of the Georgian Technical University.*



Refined beauty of Nini Chanturia's art shows her highly flexible and polyphonic manner, diverse and dramatic creative palette.

Every look at the objects, created by the young artist reveals new, unexpected details, engulfing the viewer into the poetic world expressed with youthful sincerity. Nini's ideas, feelings and creative spirit merge in the incessant, stubborn search of beauty.

The artist's boundless fantasy turns each of her cloisonné enamels and colorful silk paintings original and unique. Flexibility, softness and fluidity make the rhythm of changeable forms everlasting. Ideas are realized in the illusory game of texture, color and form. Illusion is art, and art is what Nini does by trying to achieve perfection with her illusory games.

NINO LAGHIDZE







# კაბადოკია

წელს, როგორც იქნა ავიხდინე დიდი ხნის ოცნება და ვიმოგზაურე ზღაპრულ, იდუმალებით აღსავსე მისტიკურ კაბადოკიაში. შთაბეჭდილება იმდენად დიდი და სასიამოვნოდ დამთრგუნველი იყო, რომ იქიდან ჩამოსულს კარგა ხანი დამჭირდა ნანახის გასაანალიზებლად. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროები, რათქმა უნდა ჟურნალის გვერდებს ვერ დაიტევს. მაგრამ, ვფიქრობ აქ წარმოჩენილი ფოტო მასალა და სხვადასხვა წყაროებიდან მოძიებული მცირე ინფორმაცია მაინც შეგიქმნით შესაბამის განწყობას „ბედაურების ქვეყანაზე“ (ხეთურ ენაზე) თუ „მთვარეული პეიზაჟები ქვეყანაზე“

მესხეთი ყოველთვის იყო ქართული ქრისტიანობის ბურჯი. მესხეთს მსოფლიო ქრისტიანობის წინაშეც მიუძღვის ღვაწლი, ამ დალოცვილმა კუთხემ მსოფლიო ეკლესიას აღუზარდა ისეთი დიდი წმინდანები და მამები, როგორებიც იყვნენ: წმინდა გიორგი, წმინდა ნინო, ბასილი დიდი და მისი ძმა დიდი გრიგოლი. ასევე მრავალი სხვა წმინდანი. ისინი კაბადოკიიდან იყვნენ. კაბადოკია კი ქართულ კოლონიად ითვლებოდა. მათ მიანიჭეს სიმტკიცე მესხეთისა და მთელი საქართველოს ქრისტიანობას.

აქ ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს დაარსების შემდეგ მოღვაწეობდნენ წმინდა მამა გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფენი, მესხეთიდან ჩასული ბერები ავსებდნენ ათონის ივერთა და პეტრიწონის მონასტრებს. ჰყვაოდა ქართული ქრისტიანობა... ხოლო მესხეთში არსებული თოთხმეტივე საეპისკოპოსო მთელი თავისი მრევლით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამწყსოში შედიოდა.

ოსმალთა მიერ მესხეთის დაპყრობამ XVI საუკუნის შემდეგ ბოლო მოუღო ქართულ ქრისტიანობას ამ კუთხეში. თურქი დამპყრობლები სამასი წლის მანძილზე (XVI-XVIII საუკუნეებში) ანგრევდნენ კულტურასა და საეკლესიო ცხოვრებას. მესხეთის თოთხმეტი ეპისკოპოსიდან 1764 წლისათვის დარჩენილი იყო მხოლოდ ერთადერთი, ეპისკოპოსი გიორგიც ჩამოშორდა საქართველოს ეკლესიას და დაუკავშირდა დასავლეთის ქრისტიანობას. მისი სასტიკი დევნა მაშინვე შეწყვიტეს.

843 წლის შემდეგ საკრალური ხელოვნების უმთავრეს ცენტრად იქცა კაბადოკია. მისი მშრალი და უნაყოფო ბორცვები ადრეული ქრისტიანებისთვის იდეალური თავშესაფარი აღმოჩნდა, რომლებიც იქ არაბებსა და მათი რელიგიური ნიშნით შემვიწროვებლებს ემალებოდნენ. რბილ ვულკანურ კლდეებში ქრისტიანებმა 40-ზე მეტი სოფელი და ქალაქი გამოკვეთეს. ისინი უცხო თვალისგან დამალული, კარგად ორგანიზებული, უსაფრთხო და დამოუკიდებელი საცხოვრებელი კომპლექსები იყო, რომლებიც 30 000 ადამიანს იტევდა.

დღეს ეს ქვეყანა აღარ არსებობს, თუმცა თურქეთის ტერიტორიაზე (თანამედროვე ცენტრალური თურქეთი), სადაც ის ადრე ყვაოდა, დღესაც არის შემორჩენილი კაბადოკიური კულტურის ძეგლები: ტაძრები, კლდეებში ნაგები ქალაქები და ტურისტებს მათი დათვალიერების საშუალება ეძლევათ.

ჰორემის ხეობაში, წმ. ბასილი დიდის მიერ IV ს-ში დაარსებულ ბერ-მონაზვნური ცხოვრების კერაში, კლდეებში, რომლებიც მთვარის პეიზაჟს მოგვაგონებენ, გადაფენილია ასობით კლდეში ნაკვეთი საყდარი. ამ ტაძრების მხატვრობა, რომლებიც XX ს-ის დასაწყისში აღმოაჩინეს, წარმოადგენს სიუჟეტებისა და სტი-







ლების არაჩვეულებრივ მრავალფეროვნებას. ამ ეკლესიათა უმრავლესობა, როგორც ჩანს, თარიღდება XI და XII საუკუნით. მთლიანად, XV საუკუნემდე შეიქმნა 105 ტაძარი და მათგან მხოლოდ თხუთმეტის მონახულებაა შესაძლებელი.

ქართული კაბადოკია - ასე შეიძლება ვუწოდოთ ადგილს, სადაც სოფელი სოლომონ-კალა, ძველი სახელწოდებით სოლომონისი მდებარეობს. ისპირი - პროვინცია ჭოროხის ხეობაში,ისტორიულად და გეოგრაფიულად საქართველოს ეკუთვნოდა.

ქართული კაბადოკიის - სოლომონისის დარაჯად ოქროსფრად ამოწვდილი უცნაური მთები, მნახველის ყურადღებას მაშინვე იპყრობს. სოფელი და აქაური მღვიმე ბანას ტაძრიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ლამაზ ველზეა გაშლილი.

მღვიმეში ასავლელი გზა საკმაოდ რთულია. ამ ქედებს მიღმა საოცარი სანახაობა იშლება.

სოლომონის მღვიმე ზღაპრული მშვენიერებით წარმოგვიდგება. არქიტექტურული კომპლექსი ვარძიის მცირე მოდელია. ეკლესია და სენაკები კლდეში ღრმად არის შეჭრილი. განმარტოებისა და სულიერი სიმყუდროვისათვის მონასტრის დამაარსებლებს საუკეთესო ადგილი შეურჩევიათ. ის დაახლოებით XV საუკუნეში სამცხის დიდი ათაბაგის ყვარყვარე II-ის თაოსნობით უნდა აგებულიყო.

ეკლესია მთლიანად ყოფილა მოხატული, მაგრამ ფრესკები შიგნით დანთებულ ცეცხლს გაუმჭვარტლავს, ის რაც გადარჩა, წარწერებით დაუსერავთ. სიშავის მიუხედავად კედლებიდან ნათელი ფერები მაინც გამოსჭვივის. თუ ფრესკებს კარგად დააკვირდებით, ქართულ ასომთავრულ წარწერებსაც შენიშნავთ.

სოლომონის მღვიმის მსგავსი არქიტექტურული კომპლექსი იშვიათად თუ მოიძებნება. ვინ იცის, რამდენი ქართველის თავდაუზოგავი შრომა და ენერგია დასჭირდა ამ ხელთქმნილი მშვენიერების შექმნას. არადა, დრო სოლომონის მღვიმეს ნამდვილად არ სწყალობდა, თუმცა მონასტრის დამაარსებლებმა მთავარ მიზანს მაინც მიაღწიეს, მათ უსიცოცხლო კლდეს სიცოცხლე შთაბერეს.

ყველაზე კარგად ქალაქი დერინკუიუ არის გამოკვლეული, რომელიც რვა დონისაგან შედგება, სადაც განთავსებული იყო საჯინიბოები, სკოლა, სასადილო, ეკლესიები, სამზარეულოები, საცხოვრებელი ბინები, ღვინის სარდაფები, წყალსაცავი, ციხეები და დამხმარე სათავსოები. იქ დღემდე ფუნქციონირებს მაშინდელი სავენტილაციო შახტები, ხოლო გვირაბები და დარბაზები საკმაოდ კარგადაა განათებული. საფრთხის შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობა გასასვლელებს უზარმაზარი ქვებით ხერგავდნენ. ქალაქის დონეებს შორის იატაკში გამოთლილი იყო მცირე ზომის ხვრელები მეზობელ სართულებს შორის კავშირისათვის. დღეისათვის ტურისტებისთვის დასათვალიერებლად ქალაქის რვა სართულია გახსნილი, ამასთან მათ შორის ყველაზე დაბალი 54 მეტრის სიღრმეშია. თუმცა, მეცნიერები თვლიან, რომ ჯერჯერობით აღმოჩენილია ქალაქის მთლიანი ფართის მხოლოდ 15%, რომელსაც მიწისქვეშ განლაგებული კიდევ ბევრი დონე ჰქონდა და ვინ იცის მომავალში, კიდევ რამდენ იდუმალებას აეხდება ფარდა .



შეჰყურებ ცაში აზიდულ მთებში მოქცეულ ქვეყანას და თითქოს სხვა სამყაროში ხვდები, წარსულს აქ განსაკუთრებულად გრძნობ, წმინდა გიორგის გმირობის ამბებს ყვებიან ტაძართა ფრესკები, წმინდა ნინომ აქ დაიწყო პირველად უფლის დიდება.....

უცებ კარგავ რეალობის განცდას.

ანა ლალიძე







# Cappadocia





This year I finally gratified my old dream and visited the mystical land of Cappadocia.

The impressions from this trip were so huge, so overwhelming, that it took me a considerable amount of time to analyze what I saw there. Surely there is no point in squeezing historically verified data about Cappadocia into a magazine article. On the other hand, photos and scanty information I personally obtained from various sources will give you a purely emotional description of the Land of Noble Steeds (this is how “Cappadocia” translates from ancient Hittite) or, if you prefer, the Land of Moon Landscapes.

Meskheti always used to be a pillar of Christianity; this region has made an important contribution to our religion on the whole by giving birth to saints and holy fathers like St. George, St. Nino, Basil the Great, his brother Grigol the Great and many others; by maintaining traditions and offering hope of salvation and spiritual strength to the whole Georgia and other Christian countries.

Shortly after Meskheti was integrated in the Georgian Tao-Klarjeti Kingdom, Grigol Khandzteli lived and worked here. Georgian Christianity flourished in this region; 14 dioceses established in Meskheti belonged to the congregation of the Patriarch of Georgia; many Meskh monks went to stay in Iveri and Petritsoni Monasteries at the Holy Mount of Athos.

Reign of Christianity in Meskheti was ended by 16th-century Ottoman invasion. Turk invaders kept disrupting local culture and ecclesiastic life for three centuries (16th-18th CC). From 14 Meskhetian dioceses only one survived by 1764, when its bishop Giorgi broke away from Georgian Church and joined the western Christianity in order to avoid severe persecution.

In 843 Cappadocia became the major center of sacral art. Its dry and infertile hills proved ideal refuge for early Christians persecuted by Arabs and other enemies for their religious beliefs. In soft volcanic rocks Christians carved more than 40 villages and towns. These rock settlements represented efficiently disguised, well organized, secure and independent residential complexes, capable of housing up to 30000 persons. Nowadays this area is no longer populated, though central Turkey still retains monuments of Cappadocia culture – churches and cave cities –









and all of these are accessible to tourists.

Hundreds of cave churches are scattered in Goreme Canyon, the center of monastic life founded by St. Basil the Great in the 4th century A.D. Mural paintings of these churches, rediscovered in the 20th century, feature a surprising diversity of themes and styles. Apparently, the majority of these churches are dated back to 11th and 12th centuries. Overall, 105 temples were built (or, rather, cut in rock) in this area before the 15th century, but only 15 of them survived today.

Georgian Cappadocia – this is how we can call the area where village Solomon-Kala, more commonly known as Solomonis, is located. Ispir – a province in Choroki Gorge – historically and geographically belonged to Georgia.

Solomonis is guarded by quaint golden rocks, piercing the sky. The village and neighboring cave complex sit in a beautiful valley at 15 km's distance from Bana Cathedral.

Cave complex is rather hard to access, but when you ascend these hills you are rewarded with breathtaking vistas.

The architectural complex is a smaller replica of Vardzia. The church and the cells are carved deep in the rock. Founders of the monastery, which was presumably built in the 15th century with the support of Kvarkvare the 2nd, Great Atabeg of Samtskhe, selected a truly perfect place for seclusion and spiritual comfort.

Initially the church was all covered in mural paintings, but unfortunately the frescos got smoked by fire lit indoors, and the surviving sections of the painted walls were damaged by inscriptions. In spite of the soot, bright-colored patches still can be seen on the walls; if you look well, you can even read ancient Georgian writing on them.

Architectural complexes like Solomonis cave monastery are very rare. Who knows how many Georgians labored here to create this surprising beauty? Time did not favor this place either, though the founders of the monastery still achieved their goal by creating a place that lasted through centuries.

The part of Cappadocia best studied by scientists and researchers is the underground city of Derinkuyu. The settlement was distributed on multiple levels and included schools, canteens, churches, kitchens, apartments, wine cellars, water reservoirs, stalls, dungeons, storerooms, etc. Air ventilation shafts are still functioning, and tunnels and halls still have good lighting. In case of danger, local population used to block the exits with huge boulders. Floors between different levels of the city were pierced with small holes enabling level-to-level communication. Nowadays the tourists can access 8 levels of the complex, of which the lowest is located 54 meters deep underground. However, the scientists believe that they have only researched about 15% of the city area and that it had several more underground levels, which still retain their mysteries for the future generations.

Looking at this land, squeezed between tall mountains, you cannot help thinking that the world spread out in front of your eyes is totally different from your everyday life – the past stands out with special poignancy, the story of St. George resounds from the wall paintings, the hills narrate how St. Nino started to praise the Lord…

And you suddenly lose contact with reality.

ANA LAGIDZE











ვერნისაჟი
VERNISSAGE

# ფერით მეტყველი მხატვარი





გოგი ლაზარაშვილი
GOGI LAZARASHVILI

არიან მხატვრები, რომლებიც „ფერით მეტყველებენ“ და ფერით ქმნიან ჯადოსნურ ფილოსოფიას...

ექსპრესია, წითელი ფერის საიდუმლო, მშვიდი რიტმი და ხაზის გაელვება - უსასრულობა!

ფერთა ხმაური - ინტერიერის კედელთან მისვლა, მკრთალი სილუეტი, მშვენიერება - სურვილი წვდომის!

... ახლა კი პორტრეტი, ბატონებო:

გოგი ლაზარაშვილი

ფერით მეტყველი მხატვარი!

*გია გუგუშვილი 14 ივნისი 2009წ.*
*თბილისი*





# The painter speaking color

There are painters who “speak color” and express their magic philosophy in color…

Expression, the mystery of red, calm rhythm and a flash of a line – eternity!

Color noise – walls painted bright, pale silhouettes showing through, beauty – wish to understand!

…And the portraits? A world apart…

Gogi Lazarashvili

The painter speaking color!

***Gia Gugushvili***
***June 14, 2009. Tbilisi***

















იდეის ავტორი, ფოტორეპორაჟი და
საავტორო უფლებები - ბუბა სვიმონიშვილის
THE IDEA, PHOTOS AND COPYRIGHT
BELONG TO BUBA SVIMONISHVILI



# დუმილი თანხმობის ნიშანია - ლაბორატორია თავი IX

**ამა წლის 20 მაისს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა - თბილისის ისტორიის მუზეუმმა,** მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში წარმოადგინა მხატვარ **კოტე ჯინჭარაძის** გამოფენა-პროექტი **"დუმილი თანხმობის ნიშანია - ლაბორატორია თავი IX".**

**პროექტის ორგანიზატორი:** საქართველოს ეროვნული მუზეუმი - თბილისის ისტორიის მუზეუმი.

**პროექტის კურატორი:** ნინო ზაალიშვილი.

პროექტი **„დუმილი თანხმობის ნიშანია"** დაიწყო 1996 წელს ადამიანის თევზებთან მოლაპარაკების აქცია-პერფომანსების სერიით. რომელსაც 13 წლის მანძილზე - ავტორი კოტე ჯინჭარაძე სხვადასხვა ქვეყნების ზღვებზე, მდინარეებზე, და ტბებზე მართავდა. ადამიანის თევზებთან მოლაპაკებათა პროცესი პირველად სანკტ-პეტერბურგში შედგა, როდესაც მდინარე ფანტანკაზე გაიმართა **ინტერაქტიული სამყაროს წარმომადგენლის (მხატვარ კოტე ჯინჭარაძის)** და **ინტერპასიური სამყაროს წარმომადგენლების (თევზების)** აქცია სახელწოდებით **„დუმილი თანხმობის ნიშანია".**

*მოლაპარაკებების მექანიზმი მდგომარეობს შემდეგში: მხატვარი სპეციალურად შერჩეული ადგილიდან წყალში უშვებდა თევზებისათვის წინასწარ მომზადებული დოკუმენტების ტექსტებს (მინის ჰერმეტულად დალუქული ფირფიტების მეშვეობით, რომელზედაც დამოტაჟებული მიკროფონი აფიქსირებდა თევზების პასუხს) „ვარაუდის თეორიის" თანახმად თევზები კითხულობდნენ წყალში ჩაშვებული დოკუმენტის ტექსტებს. მათი რეაქცია იწერებოდა მაგნიტურ ლენტაზე, რომელიც მოგვიანებით დომინანტი მხარის გარჩევისა და ანალიზის საგანი იყო.*

*გარეშე მაყურებელი ამგვარ „მოლაპარაკებათა" უნებლიე მოწმე ხდებოდა, ყოველი შემდგომი რაუნდის ტრაგიკომიკური ფარსისა.*

პროექტი, სამყაროში გაბატონებულ დისბალანსზე, უსამართლობაზე და სიმართლისათვის არსებობისათვის ბრძოლაში არათანაბარი ძალის და საშუალებების გამოყენებაზე მიუთითებს, როდესაც ერთი მხარე იძულებულს ხდის მეორე მხარეს, როცა მეორე მხრის არსენალი მხოლოდ დუმილია.

დღეს დომინანტმა მხარემ უნდა გამოიჩინოს შემწყნარებლობა, შეინარჩუნოს ობიექტურობა სუსტი მხარისადმი, რომ ზეწოლა და ძალადობა შეცვალოს პატივისცემით და სამართლიანი დამოკიდებულებით, რათა ბუნებრიობა, ზნეობა, სულიერება და ურთიერთსიყვარული გახდეს ერთდროს დაპირისპირებულ მხარეთა მეგზური მომავალი მშვიდობიანი თანაარსებობისკენ სწრაფვაში.

1995-2009 წწ.-ში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში პერიოდულად განხორციელდა მოლაპარაკებათა კიდევ 7 რაუნდი, აქციის სახით „დუმილი თანხმობის ნიშანია", სადაც განიხილებოდა მხარეებს შორის არსებული პრობლემები, ისახებოდა მათი გადაჭრის გზები, ხდებოდა აზრთა გაცვლა და სხვა.

13 წლის თავზე დაიწყო პროექტის ახალი ეტაპი - თბილისში, კოტე ჯინჭარაძის თაოსნობით დაარსდა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია, სადაც პროექტის ეგიდით ჩატარებული აქციების მანძილზე დაგროვილი მასალების ბაზაზე დაიწყო ექსპერიმენტი.

ორი თვის განმავლობაში ჩატარებული დაკვირვების, ფიქსაციის და რეზულტატების ანალიტიკური შედეგები დაფიქსირდა ციფრული ულტრაბგერითი ზემგრძნობიარე სპეციალურად გამოყენებული ბიოარტ-კომპლექსური დანადგარის მეშვეობით.

















**ექსპერიმენტულ ცდებს აწარმოებდა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი ექსპერტი, ჩიკაგოს სამეფო აკადემიის საპატიო წევრი, დოქტორი წყალქვეშა სამყაროს წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში ენნ ზეტი დვალი*.** პროექტით გათვალისწინებული ექსპერიმენტებისათვის არტ პროექტების ინსტიტუტმა (აპი)** მას ერთი წლით გამოუყო შესაბამისი ფართი, 120 კვ.მ ქალაქის ცენტრალურ უბანში, კერძოდ კარუსელის ქუჩის №23-ში***, ამავე ინსტიტუტის ფილიალში - ჰიპოთეზების განყოფილების მანსარდაში, ლაბორატორიისათვის

2009 წლის 14 იანვრიდან 28 თებერვლის ჩათვლით, იგი სპეციალური აპარატურის საშუალებით ყოველდღიურად აფიქსირებდა საცდელ აკვარიუმში მოთავსებული რვა სხვადასხვა სახეობის თევზების რეაქციას, მათთვის პერმანენტულად მიწოდებულ სიგნალზე, ექსპერიმენტის ტექნიკურ მონაცემებს. ორი თვის მანძილზე შეგროვილი დიდი მოცულობის ფაქტობრივი აუდიო ვიზუალური მასალა ბიოგენეტიკური ინჟინერიისა და აქტუალური ხელოვნების წარმომადგენლების დისკუსიებისა და ანალიტიკური კვლევის საგანი გახდა.

სწორედ ლაბორატორიაში თვეების მანძილზე ჩატარებულ კვლევების პროცესს და შედეგებს ასახავს ქარვასლაში წარმოდგენილი გამოფენა სახელწოდებით **"ლაბორატორია თავი IX".** გამოფენა იყო ყველაზე უფრო ვრცელი და მასშტაბური გამოხატულება პროექტის არსებობის 13 წლიან ისტორიაში. კოტე ჯინჭარაძემ თავის პროექტში კონცეპტუალურად გადმოსცა ლაბორატორიაში ჩატარებული მეცნიერული ექსპერიმენტი, რომელიც შეისწავლის თევზებზე ადამიანის ზემოქმედებისა და კონტაქტის გავლენის კვლევას. ავტორმა მხატვრულად ასახა ზემოთ აღნიშნული კვლევის პროცესი და დამთვალიერებელს მათივე შთაბეჭდილებასა და ინტელექტუალურ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, აღქმის სრული თავისუფლება შესთავაზა.

**მხატვარმა ფოტოგრაფიისა და თანამედროვე ვიზუალური ხერხების საშუალებით მაყურებელს აჩვენა თუ როგორ შეიძლება სინთეზირდეს მეცნიერული კვლევის პროცესი და ლაბორატორიული ექსპერიმენტი Actual art-თან.**

წარმოდგენილმა გამოფენამ დამთვალერებელს გააცნო პროექტში გამოყენებული თანამედროვე ხელოვნების ისეთი გამომსახველობითი საშუალებები, როგორიცაა **ინსტალაცია, ფოტოგრაფია, ვიდეო არტი, კოლაჟი, MIXED MEDIA, მხატვრობა.**

---

* - ენნ ზეტ დვალი - ბიოლოგი. დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი. იელის უნივერსიტეტის მაგისტრი. ლონდონის თანამედროვე ბიოკვლევების საერთაშორისო ცენტრის კოორდინატორი, ექსპერტი. ერთხელ, II კურსზე ენნ ზეტ დვალი შემთხვევით შეესწრო უცნაურ აქციას. გალაქტიონის ხიდიდან ცნობისმოყვარე გამვლელებით გარშემორტყმული მხატვრები მტკვარში უშვებდნენ მინაში მოთავსებულ ტექსტებს, - „თევზებთან დიალოგს ვმართავთ, ეს მოლაპარაკების მესამე რაუნდიაო"…. ამ აქციის სახელწოდებაც დაამახსოვრდა - „დუმილი თანხმობის ნიშანია". ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს შვეიცარიაში, ცერნში (CERN), ჟენევის მახლობლად, ერთ-ერთ კერძო ლაბორატორიაში.

** - არტ პროექტების ინსტიტუტი დაარსებულია 1995 წელს მხატვარ კოტე ჯინჭარაძის მიერ. მის: თბილისი. არჩილ კერესელიძის №2, ფილიალი - ჰიპოთეზების განყოფილება მდებარეობდა ღიმილის ქუჩა №4-ში. იხ. გაუქმებული ქუჩების ცნობარი. 1993 წ.

*** - ექსპერიმენტის მიწურულს, პროექტით მითითებულ მისამართზე, აღმოაჩინეს მესერით შემოღობილი დანგრეული სახლების რიგი, მათ შორის იყო სახლი №23, რომლისგანაც სადარბაზოს კიბის ათი საფეხურიღა შემორჩენილიყო. როგორც შემდგომში გაირკვა, შენობა №23 აიღეს კარუსელის ქუჩის რეკონსტრუქციის ზონაში, ახალი ბიზნეს ცენტრისა და სავაჭრო კომპლექსის მშენებლობის დაწყების გამო.

# Silence Is Consent – Laboratory Chapter IX



On May 20 2009 Georgian National Museum – Tbilisi History Museum presented exhibition project “Silence Is Consent – Laboratory Chapter IX” by artist Kote Jincharadze.

Organizer: Georgian National Museum – Tbilisi History Museum

Supervisor: Nino Zaalishvili

Project “Silence Is Consent – Laboratory Chapter IX” started in 1996 as a series of actions-performances aiming at establishing two-way communication between humans and fishes. During these 13 years author of the project – Kote Jincharadze – had been organizing such actions at the banks and shores of rivers, lakes and seas in different countries all over the world. Human-to-fish contact was first established in St. Petersburg, when an interactive being – Kote Jincharadze – arranged action titled “Silence is Consent” in cooperation with inter-passive beings – fish inhabiting Fontanka River.

*The principle of communication applied by the artist is as follows: from a pre-selected point on the shore texts of documents, specially prepared for fishes, are lowered into water (the documents are enclosed in hermetically closed glass cases with attached micro-*











*phones, recording the fish's answers). According to the theory of probability, the fish read documents underwater and their reaction is recorded on magnetic tapes; later on these tapes are analyzed and discussed by the dominant party.*

In the 13th year of project implementation this activity evolved to a new stage – Kote Jincharadze established an international scientific-research laboratory where the materials collected during the previous years' actions are researched.

Research activities in the lab are maintained by chief scientific officer of the institute, honorable member of Chicago Royal Academy, master of relationships with underworld inhabitants Ms. N. Z. Dvali.

The exhibition presented in Karvasla reflected the progress and results of this important research.

Exhibition viewers could see samples of various modern art techniques, such as installation, photography, video art, collage, mixed media and painting.











ნინო ზაალიშვილს გადაეცა არტ პროექტების ინსტიტუტის მიერ დაწესებული „თვის საუკეთესო კურატორის პრიზი"







# პარიზი ვერნისაჟში

ანეტა რევიაკინა მოსკოვში დაიბადა. იქ დაამთავრა საშუალო სკოლა და სამხატვრო სასწავლებელი. შემდეგ იგი ლიტვაში, ვილნიუსში გადავიდა საცხოვრებლად და 1989-1995 წლებში ლიტვის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობდა, თუმცა დიპლომირებული არქიტექტორი, უკვე 1992 წლიდან აქტიურად მუშაობს და ქმნის. თითოეული მის მიერ შექმნილი ობიექტი თვითმყოფადი, ორიგინალური და დასამახსოვრებელია. გამოირჩევა პროფესიული ხედვით და დახვეწილი გემოვნებით. ამის დასტურია, ამჯერად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი, არქიტექტორ ანეტა რევიაკინას პროექტით განხორციელებული რამდენიმე სხვადასხვა დანიშნულებისა და სპეციფიკის განხორციელებული ობიექტი: სასტუმრო "ევროპა-როიალი" ქალაქ დრუსკინინკაიში, ლიტვის იარალის სახელმწიფო ფონდის მაღაზიის ინტერიერი ვილნიუსში, კლაიპედაში, საცხოვრებელი სახლის ინტერიერი ვილნიუსში. იმედია, მომავალშიც, გვექნება შესაძლებლობა, თანდათანობით გავაცნოთ უცხოელი პროფესიონალის შემოქმედებითი ფრაგმენტები.



ფოტო: ალექსანდრე მეფარიშვილი
PHOTO BY ALEQSANDRE MEFARISHVILI

ამჯერად წარმოგიდგენთ არქიტექტორის მიერ ფოტოობიექტივით ასახულ სამყაროს. იგი მრავლისმთქმელია და აბსოლუტურად კარდინალურად გამოხატავს ავტორის შეგრძნებებს და სამყაროსეული ხედვის არეალს.

2009 წლის მაისის ბოლო დღეებში, თბილისში, გალერეაში „ვერნისაჟი“ (დირექტორი – ხელოვნებათმცოდნე ზაირა ბერელიძე), არქიტექტორ ანეტა რევიაკინას ფოტო ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა. საინტერესო ექსპოზიცია ქუჩიდანვე იპყრობდა ყურადღებას. წარმოდგენილი იყო პარიზის პეიზაჟები, კერძოდ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი და ხედები ტაძრიდან.

კედლებზე განთავსებული მეტყველი ფრაგმენტები მრავლისმთქმელია. ხელოვანი ერთდროულად შორსმჭვრეტელი ანალიტიკოსი და ლირიკოსია. იგი ღრმად წვდება რეალიზმს და სწორად აღიქვამს სამყაროს სულიერ დიალექტიკას. მისი შემოქმედებითი მანერა ლაკონურია, მაგრამ განსაკუთრებული პოეტურობითაა გაჟღენთილი. ეს კი თითოეულ ნამუშევარს განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს, გემოვნებასა და შემოქმედებით აზროვნებას ავლენს და მნახველში სრულიად განსხვავებულ შეგრძნებებს იწვევს. მხატვრულ-ესთეტიკური მთლიანობა და მუსიკალურობა წარმოჩენილი ექსპოზიციის ფრაგმენტთა მიზანმიმართული თხრობითი გრაფიკის, მოცულობითობის განმსაზღვრელია და თვითმყოფადობის ესთეტიკას წარმოშობს – ბუნებაში წარმოქმნილს, მყისიერს მარადიულს ხდის. ამის დასტურია არქიტექტორის მიერ ფოტოებზე აღბეჭდილი თბილისიც. ნანახით რწმუნდები, რომ მართლაც ულამაზეს ქალაქში ცხოვრობ.

ნინო ლაღიძე









# Paris in Vernissage & TBILISI

Annette Revyakina was born in Moscow. Having completed her public school and art college studies in the capital of Russia, Annette moved to Vilnius, Lithuania, where she studied at the architectural faculty of Lithuanian Art Academy in 1989-1995. Since 1992 Annette maintains architectural practice, creating unordinary and memorable, highly professional and tasteful designs. In the previous issues of our magazine we told you about several projects designed by Annette Revyakina: hotel Europa-Royal in Druskininkai, interiors of Lithuanian State Arms Foundation shops in Vilnius and Klaipeda, interior of an apartment in Vilnius. Hope we will have more opportunities to make you familiar with the foreign architect's works.

This time we would like to show you glimpses of the world as seen by Annette through a camera lens. This world is heterogeneous, but frank and open in expressing the photographer's feelings and viewpoints.

In the end of May 2009, Vernissage Gallery (managed by art critic Zaira Berelidze) launched a personal exhibition of Annette Revyakina's photos. The exposition consisted of Paris landscapes – views of Notre Dame de Paris and vistas opening from this temple.

The photos hung on the walls narrated a wide variety of different stories, all of which revealed considerable analytical skills and lyricism of the author. Due to her deep perception of reality, Annette has a very sound understanding of spiritual dialectics of the universe. Her creative style is reserved but poetic; each of her works radiates some special charm, reflecting the author's taste and creative thinking and evoking totally different feelings. Aesthetic integrity, melody and rhythm of purposefully positioned photos, gives birth to unique aesthetics, opening the gates of eternity before the ephemeral. The same can be said about the photos of Tbilisi, taken by Annette Revyakina – each of them shows how beautiful the city in which we live is.

NINO LAGHIDZE


















# მოთხილამურე არქიტექტორთა 32-ე შეხვედრა-სემინარი SKIA-2009

2009 წლის 24-დან 28 თებერვლამდე ბაკურიანმა არქიტექტორ მოთხილამურეთა 32-ე შეხვედრა – სემინარს უმასპინძლა. ეს შეხვედრა მიზნად ისახავდა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზის ფონზე, არქიტექტურის და ქალაქმშენებლობის სფეროში შექმნილი სირთულეების ირგვლივ დისკუსიების წარმართვას და მასში საზოგადოების ფართო ფენების, მათ შორის უმაღლესი სახელისუფლებო სტრუქტურების და ინტელიგენციის წარმომადგენლების ჩართვას. ამ პრობლემების გადაჭრის პროცესში არქიტექტორის პროფესიის სოციალური როლის წარმოჩენას და დამკვიდრებას.

შეხვედრა – სემინარი მიეძღვნა მოთხილამურე არქიტექტორთა საკავშირო კლუბის პირველ პრეზიდენტს ალიკა ჯაფარიძის ხსოვნას.ეს სიცოცხლით, იუმორით და შემოქმედებითი იმპულსებით სავსე ადამიანი იყო ერთ-ერთი მოთავე საერთაშორისო კლუბ შ□I□-ს დაარსებისა 1977 წელს.

არქიტექტორთა ტრადიციული შეკრების თანმდევი იყო სამთომოთხილამრეთა შეჯიბრი გიგანტურ სლალომში, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გაიმართა. სულ შეჯიბრში 49 მონაწილე გამოვიდა.

ქალთა შორის გაიმარჯვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტმა ირინა ჯაფარიძემ. მას გადაეცა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ დაწესებული გარდამავალი პრიზი. მეორე–მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს ნინო მშველიძემ და თათული ბეგალიშვილმა.

სტუდენტ მოთხილამურე ვაჟებს შორის გამარჯვებულები გახდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები: 1. ნიკუშა ჯაბადარი; 2. ნოდარ კობახიძე; 3. ბექა დვალი.

ორმოც წლამდე არქიტექტორებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა - 1. ლუკა ჩხაიძე, 2. იკაკო ჩოჩია და 3. სანდრო იაშვილი.

ორმოციდან ორმოცდაათ წლამდე ასაკში გაიმარჯვა გიორგი კარტოზიამ (კესკესამ); მან დაიმსახურა მოთხილამურე არქიტექტორთა საერთაშორისო კლუბის შ□I□-ს პირველი პრეზიდენტის ალიკა ჯაფარიძის სახელობის გარდამავალი პრიზი, რომელიც მოქანდაკე გია ჯაფარიძის მიერ შესრულებულ აშოტ კურაპალატის თხილამურებზე შემდგარ ბრინჯაოს ფიგურას წარმოადგენს. მასვე გადაეცა მრავალი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულის, არქიტექტორ დავით ჩხეიძის (ჩხირას) მიერ შესრულებული ტიხრული მინანქრის ვერცხლის ჯვარი. მეორე - მესამე ადგილები შესაბამისად არქიტექტორებმა ზაზა იაშვილმა და ირაკლი მასხულიამ დაიკავეს.

ძალზე დიდი იყო კონკურენცია 50 წლის ზევით ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც გამოირჩეოდა თავისი მრავალრიცხოვნებით. აქ იმარჯვა ირაკლი გამყრელიძემ (გერკომ), რომელსაც კვალად მიჰყვნენ კახა ჩოჩია და გიორგი ჭკუასელი, რომელიც არქიტექტორ კოტე მეფარიშვილთან ერთად სკია-ს წლევანდელი პლაკატის შემომქმედიც გახლდათ.

საერთოდ, მოთხილამურე არქიტექტორთა შეკრება, როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა სპორტული და შემოქმედებითი სულისკვეთების სიმბიოზით, მიმზიდველობით და ესთეტიური მშვენიერებით. ამ შეხვედრაზე ერთმანეთს ორგანულად ერწყმოდა არქიტექტორთა შემოქმედებითი სული და სპორტული აზარტი. ძალზე მომხიბლავი იყო ის კეთილგანწყობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, რომელიც ამ შეკრებაზე სუფევდა.

*საქართველოს მოთხილამურე
არქიტექტორთა კლუბის პრეზიდენტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურის, ურბანისტიკის და
დიზაინის ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი გოჩა მიქიაშვილი*










# 32nd Assembly-Seminar of Architect Skiers SKIA-2009

On February 24-28 2009 Bakuriani hosted 32nd Assembly-Seminar of Architect Skiers. The assembly targeted current architectural and urban development problems caused by world economic crisis and attempted to involve the public, including governmental officials and intelligentzia into discussion of such issues and promote the social role of architects in their solving.

The seminar was dedicated to the memory of Alik Japaridze, the first president of the Georgian Club of Architect Skiers: it was largely due to this cheerful, ingenious and creative personality that SKIA Club got established in 1977.

The traditional assembly of architects was followed by an alpine skiing competition in giant slalom for different age groups, which gathered 49 participants.

As always, the assembly of skier architects went on in an uninhibited atmosphere of sports and creativity, good will and mutual respect.








# იტალიური სტილი





27 მარტს, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა - თბილისის ისტორიის მუზეუმმა - „ქარვასლა“, წარმოადგინა გამოფენა “იტალიური სტილი”.

პროექტის ორგანიზატორი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი - თბილისის ისტორიის მუზეუმი, იტალიის საელჩო საქართველოში, სარტირანას ხელოვნების ფონდი.



“იტალიური სტილი – სამოსი და ავეჯი” წარმოადგენდა უდიდესი იტალიელი დიზაინერების საინტერესო ნამუშევრებს. კარტელის, მირაბილის, ძანოტას ნივთები ამ ინოვაციურ კომპანიებთან ცნობილი არქიტექტორების და ავტორების მოლინოს, ტერანის, კასტილიონის, ჩეროლის, ონტანის და სხვათა ნაყოფიერი თანამშრომლობის ნათელი მაგალითია.

გამოფენის შთაგონების წყაროდ იქცა ხელოვნების სხვადასხვა დარგი, როგორებიცაა დეკორატიული ხელოვნება, შიდა დიზაინი და მოდა, იტალიელების შემოქმედების, ფანტაზიის და ინოვაციის თანდაყოლილი უნარი.

გამოფენასთან დაკავშირებით, 25 მარტს 3 საათზე, თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიმართა პრესკონფერენცია.

გამოფენა გაგრძელდა 27 აპრილამდე. მან მრავალ თბილისელს, მოცემული დარგის სპეციალისტს თუ პროფესიონალს უმასპინძლა და მათი დიდი ინტერესი გამოიწვია.





# Italian Style



On March 27 2009 Georgian National Museum and Museum of Tbilisi History hosted "Italian Style" Exhibition.

Project organizers: Georgian National Museum, Museum of Tbilisi History, Italian Embassy in Georgia, Sartirana Art Foundation.

"Italian Style – Clothes and Furniture" featured the most interesting works by great Italian designers. Mirabilis and Zanotta designs clearly show the efficiency of fruitful cooperation of these innovative companies with famous architects and designers, such as Molino, Terani, Castiglioni, Cheroly, Ontani and others.

# მხატვრობა გატაცებაზე მეტია



ამ რამოდენიმე ხნის წინ გალერეა „ჰობიში" მხატვარ გულიკო წულუკიძის ( იგი პროფესიით არქიტექტორია), ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ექსპოზიციის დამთვალიერებელმა - მხატვრის მეგობრებმა და კოლეგებმა, პროფესიონალებმა, რომლებსაც საშუალება მიეცათ გასცნობოდენ ავტორის შემოქმედებით ფრაგმენტებს - ჯეროვნად შეაფასეს იგი.





ფერწერული ტილოები და გრაფიკა საინტერესო ექსპოზიციას ქმნიდა.

ნამუშევრების პლასტიკურ გამოხატულებაში აქტუალური შინაგანი ძალა და სულიერი სისავსე იკვეთება. როგორც ფერწერულ, ასევე გრაფიკულ ჰარმონიაში თავისებური სულიერი მრწამსი, ყოფის გააზრების საკუთარი პრინციპები და შესრულების ტექნიკა - კომპოზიციის ცვალებადი კონსტრუქციის განმსაზღვრელია. ნამუშევრებში გამომხატველობით-შინაარსობლივი საწყისის დინამიკა, რიტმი, საინტერესო არქიტექტონიკური ლოგიკა და ფერთა უჩვეულო ლავირება აქცენტირებს. მხატვრობა, არქიტექტორისთვის გატაცებაზე მეტია - შემოქმედებითი ძიების პროცესის თანმხლებ ლაბირინთში შუქფენილი გზაა

და მხატვარს ამ გზაზე კვლავ წარმატებებს ვუსურვებთ.

ნინო ლაღიძე





# Art is more than infatuation

Very recently Hobby Gallery launched personal exhibition of Guliko Tsulukidze's paintings. Though Guliko is actually an architect, her paintings enjoyed equal admiration on the part of her colleague architects and artists, who visited the exhibition.

Paintings and drawings, created by Guliko Tsulukidze, tell a story of rich inner world and spiritual strength, of harmony with the surrounding world and individual principles helping to analyze and understand it, of original technique and changeable but clear compositional structure. Key features of Guliko Tsulukidze's art are dynamics, rhythm, original architectonical logics and unusual application of color. Art is more than infatuation for an architect – art serves as a guide in the labyrinth of creative quest and we can only wish Guliko Tsulukidze success in passing this labyrinth.

NINO LAGHIDZE







# საერთაშორისო კონკურსები

# International Competitions

## პროექტების კონკურსი „გონდვანას წრე“

**ა.შ.შ., 2009 წ.**

ლანდშაფტური პროექტების კონკურსი დაარსებულია სან-ფრანცისკოს ბოტანიკური ბაღის მიერ და მისი მიზანია დაპროექტდეს ლანდშაფტური საზოგადოებრივი სივრცე, რომელიც დააკავშირებს უნიკალური პარკის უძველეს ისტორიას მის თანამედროვე ცხოვრებასთან.

კონკურსის ტიპი: პროექტების ღია საერთაშორისო კონკურსი;

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: ლანდშაფტის არქიტექტორებს, არქიტექტორებს, მხატვრებს და სხვადასხვა დარგის პროფესიონალებს, ასევე მულტიდისციპლინარულ ჯგუფებს;

სარეგისტრაციოდ შენატანი: 100 ა.შ.შ. დოლარი;

დედლაინი: რეგისტრაციისათვის - 2009 წლის 31 აგვისტო, ნამუშევრების შესატანად - 2009 წლის 11 სექტემბერი;

საპრიზო ფონდი: 15000 აშშ დოლარი; გარდა ამისა პროექტები წარმოდგენილი იქნება სპეციალურ გამოფენაზე.

საპროექტო გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ლანდშაფტურ-არქიტექტურულ კონცეფციას, ისევე როგორც ბილიკებს, კედლებს, დასასვენებელ ზონებს (მაგ., სკამებს) და, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო და წარმომადგენლობით ობიექტებს, როგორიცაა სტენდები ან ქანდაკებები.

რეგისტრაცია და დამატებითი ინფორმაცია: რეგისტრაცია წარმოებს ონლაინ-რეჟიმში; საორგანიზაციო კომიტეტი აქტიური მუშაობის დაწყებას მაისში გეგმავს.

კონკურსის ვებსაიტია: http://www.sfbotanicalgarden.org/events/gondwana-circle-competition.html

## GONDWANA CIRCLE DESIGN COMPETITION

**USA, 2009**

Landscape design competition has been established by the San Francisco Botanical Garden with the goal of designing a modern landscape space linking ancient history with the present-day life of the unique park.

Competition type: open international design competition

Participation available to: landscape architects, architects, artists and other professionals as well as multi-disciplinary groups

Registration fee: 100 USD

Deadline: registration deadline - August 31; submission deadline - September 11 2009

Prize pool: 15000 USD. Besides this, competition entries will be exhibited at a public exhibition

The primary objective of the Gondwana Circle Design Competition is to generate a design solution that effectively educates visitors of all ages about the historical significance of Gondwana in relationship to the evolution and current horticultural communities of the Southern Hemisphere.

The organizer's website provides a detailed list of all the issues (from geological to botanical) to be communicated to the visitors.

Design solution should incorporate a landscape architectural concept, hardscape (e.g. pathways, seating areas, and walls), planting, educational and interpretive signage, and a focal feature (e.g. sculpture, water feature, etc.).

Registration and additional information: registration is made online. Officially, the competition should have been launched in May.

Competition website:
http://www.sfbotanicalgarden.org/events/gondwana-circle-competition.html

## საგნობრივი დიზაინის მე-9 საერთაშორისო კონკურსი "Andreu World"

**ესპანეთი, 2009 წ.**

აქამდე ავეჯის დიზაინის ეს ყოველწლიური კონკურსი მხოლოდ ახალგაზრდა დიზაინერებზე იყო გათვლილი, მაგრამ წელს ყველა ასაკობრივი შეზღუდვა მოხსნილია.

კონკურსის ტიპი: ღია საერთაშორისო კონკურსი; ავეჯის დიზაინი

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: არქიტექტორებს, დიზაინერებს, სხვადასხვა ჯგუფებს, სტუდიებს და სტუდენტებს.

სარეგისტრაციო შენატანი: უფასოა

დედლაინი: 14 სექტემბერი

საპრიზო ფონდი: I პრემია - 4000 ევრო; II პრემია - 2000 ევრო

კონკურსის თემა: სკამის და / ან მაგიდის დიზაინი

კონკურსზე წარდგენილი სკამები და მაგიდები უნდა დამზადდეს მუხისგან, თხილისგან ან წიფლისგან. ნებადართულია ფანერის გამოყენება. ლითონი და მინა დასაშვებია დამატებითი მასალების სახით.

კონკურსი ორიენტირებულია სამრეწველო დიზაინზე; შესაბამისად, საკონკურსო პროექტები უნდა ითვალისწინებდეს კომპანია „Andreu World“-ის ფილოსოფიას და ტექნოლოგიურ პარამეტრებს.

ნამუშევრების ჩაბარების ფორმა: მაკეტი 1:5

შენიშვნა: კონკურსის გამარჯვებული გადასცემს საავტორო უფლებებს კომპანიას და, გარდა ფულადი პრემიისა, იღებს მხოლოდ კომპანიის შინაგანაწესით გათვალისწინებულ ჰონორარს. ხელშეკრულება ავტორსა და კომპანიას შორის ფიქსირებული ვადით ფორმდება; შესაძლებელია როგორც მისი გაგრძელება, ისე მოქმედების ვადის ნაადრევად შეწყვეტა.

რეგისტრაცია და დამატებითი ინფორმაცია: რეგისტრაცია წარმოებს კონკურსის ორგანიზატორის ვებსაიტიდან; ნამუშევრები იგზავნება ფოსტით.

კონკურსის ვებსაიტია: http://competition.andreuworld.com/

## 9TH ANDREU WORLD INTERNATIONAL DESIGN COMPETITION

**September 2009, Spain**

Age limits in this annual furniture design award competition have been removed; consequently now it is open not only to young designers but to any professionals.

Competition type: open international furniture design competition

Participation available to: architects, designers, groups, studios and students

Registration fee: free of charge

Deadline: September 14 2009

Prize pool: 1st prize - 4000 Euros; 2nd prize - 2000 Euros

Competition theme: chair and / or table design

Entry format: a 1:5 scale prototype of the proposed piece should be submitted.\

Please note that ANDREU WORLD, S.A. maintains priority rights over all designs submitted. The company will contact the designer for agreement on the conditions for said production in accordance with internal company policy; the designer, on his part, agrees to possible negotiation relative to the subsequent production and marketing of said designs.

Registration and additional information: registration is made at the organizer's website; competition entries are submitted by mail.

Competition website: http://competition.andreuworld.com/

## არქიტექტურული კონკურსი "Central Glass International Architectural Design Competition"

**იაპონია, 2009 წ.**

კონკურსის ტიპი: ღია საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: სტუდენტებს და პროფესიონალებს, სხვადასხვა ჯგუფებს (შეზღუდვა არ არსებობს)

სარეგისტრაციო შენატანი: უფასოა

დედლაინი: I ეტაპი - 3 აგვისტო (ნამუშევრების მიღება ფიქსირდება მიღების დამადასტურებელი საფოსტო შტამპით)

საპრიზო ფონდი: I პრემია - 2000000 იენა, II პრემია - 300000 იენა, III პრემია - 100 იენა; გარდა ამისა, გაიცემა სამახსოვრო პრიზები და გათვალისწინებულია 10 წამახალისებელი პრიზი 50000 იენის ოდენობით.

კონკურსის თემა: ახალი ტიპის საზოგადოებრივი ცენტრის არქიტექტურა.

კონკურსის ფორმატი: 2009 წელს კონკურსი 2 ეტაპად ტარდება; პირველი მათგანი დაუსწრებელია, ხოლო მეორე - დასწრებული (ინტერვიუ).

ჟიური: ბოლო წლებში ჟიურის უცვლელი თავმჯდომარეა ტოიო იტო; ჟიურის შემადგენლობაში კვლავ რჩება კენგო კუმა; კონკურსის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ლაურეატია ჰარი ჩანგი.

რეგისტრაცია და დამატებითი ინფორმაცია: წინასწარი რეგისტრაცია საჭიროებას არ წარმოადგენს. ნამუშევრები იგზავნება ფოსტით; ფორმატთან და შემადგენლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები კონკურსის საიტზეა ჩამოთვლილი.

კონკურსის ვებსაიტია: http://www.cgco.co.jp/kyougi/index.html

## ARCHITECTURAL CMPETITION CENTRAL GLASS INTERNATIONAL ARCHITECTURAL DESIGN COMPETITION 2009

**Japan, 2009**

The competition - one of the most notable architectural events of the world - has been maintaining international format since 1976.

Competition type: open international architectural competition

Participation available to: students and professionals, individually and in groups; no limits established

Registration fee: free of charge

Deadline: 1st stage deadline is August 3 2009 (mail stamp, reception)

Prize pool: 1st prize - 2000000Yen; 2nd prize - 300000 Yen; 3rd prize - 100 Yen; the competition also envisions a number of memorable prizes and 10 incentive prices, each amounting to 50000 Yen

Competition theme: architecture for a new type of community gathering place.

Competition format: This year the competition comprises 2 stages: a preliminary extramural stage and a private interview.

Jury: Chief Judge of the competition, irreplaceable during the recent years, is Mr. Toyo Ito; one of the judges, also remaining on the jury list for a long period of time - Mr. Kengo Kuma. One of the most frequent recent competition winners is Mr. Harry Chang.

Registration and additional information: preliminary registration is not required. Competition entries, prepared in accordance with the requirements listed on the website, are sent by mail.

Competition website: http://www.cgco.co.jp/kyougi/index.html

# ავტორადიო FM-95.1






Expo Georgia Co.- 118 A.Tsereteli Ave., Tbilisi 0119 Georgia
Tel: +995 32 341100 Fax: +995 351100
expo@expogeorgia.ge